

საბა
საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე
№ 3
მარტი
2006

პაპის ახალი ენციკლიკა
კარდინალ კასპერის ვიზიტი
რას ნიშნავს მარხვა
ეკუმენური ლოცვა
საუბარი პრინცესასთან
მამა ანდრეა სანტორი

ფასი 20 თეთრი

(რუბრიკა) რელაქციის გვერდი

განახლება

როგორი განახლება სურს საზოგადოებას?

თვითგანახლება – ეს საზოგადოების, ჩვენი გონების, ჩვენი ხორციელი ორგანიზმის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია; წეს-ჩვეულებების ტყვეობა, დაავადებები, დრომოჭმულობა, განმეორებითი ქმედებები, სკლეროზი – ყველაფერი ეს სასიკვდილო მოვლენებია ცხოველუნარიანობის, ენერგიულობის, სასიცოცხლო ძალებისათვის.

როგორც ვიცით, ქართველი ადამიანი უმეტესად მიჯაჭვულია საკუთარ ტრადიციას, საკუთარ წარსულს, იგი ძნელად ეგუება ცვლილებას, ინოვაციას; აშკარად მეტი აღტაცებით საუბრობს იგი საკუთარ წარსულზე, ვიდრე მომავალზე, რომელიც წინ ელის.

ადამიანის სულიერი ცხოვრებაც, რომელმაც სული წმიდის საწინდარი მიიღო, შეიძლება უგემურად და უნიათოდ გადაიქცეს; იქნებ სწორედ იმიტომ, რომ თვითგანახლების უინი დაკარგა?

რა გვიქმნის „ახალ გულსა და ახალ გონებას“, თუ არა მუდმივად დაბრუნება ჩვენი ცხოვრების, ჩვენი რწმენის უმთავრეს სათავეებსა და საძირკველთან და იქიდან გამომშურება?

განახლება ჩვენგან ითხოვს, რომ პირველ რიგში საკუთარ თავს მივუბრუნდეთ, საკუთარ ოთახს და დახურულ კარში დავრჩეთ (მდრ. მათ. 6), რათა ვიპოვოთ ამ სიყვარულის ხმა და კვალი, რაკი ადამიანი არის ხილული, ღმრთის სიყვარულის ხორცშესხმა. ამაში მდგომარეობს სოკრატესეული, წმ. ავგუსტინესეული და კირკეგორისეული „თვითშეცნობა“, და ყველა იმისა, ვისაც სულიერი ცხოვრებაში ჩაღრმავება სწადია. „ვინც საკუთარი თავი იხილა, მასზე გაცილებით დიდია, ვინც ანგელოსები იხილა,“ – წერდა წმ. ისააკ ასური.

ამდენად, განახლება „სიყვარულით“ მოქმედებას გულისხმობს, ანუ მისი სახელით, ვინც დასაბამითვე შეგვიყვარა და იმ მაგალითით, რაც მან მოციქულებს მისცა: „ჰქმენით ეს ჩემს მოსახსენებლად“ და „სიყვარულით“, ანუ სულიწმიდის ძალით, რომელიც გვიხმობს, რათა პირველებმა შევიყვაროთ, შევიყვაროთ ისინი, ვისაც არ ვუყვარვართ, ვინც გულს გვტკენს, შევიყვაროთ ყველასგან მოძულებული, შევიყვაროთ უანგაროდ.

მაშასადამე, განახლება არ ნიშნავს მხოლოდ ზედაპირულ სახეცვლილებას და შინაგანის ხელშეუხებლად დატოვებას; უდავოდ თვალშისაცემია გარეგანი ცვლილებები, მაგრამ თუკი შინაგანი ცვლილება

შეუმჩნეველი იქნება და სიღრმეში არ შეადწევს, ყველაფერი წარმავალი და მოჩვენებითი იქნება, და ეს მარტოოდენ სხვათა განსჯა-გაკილვას თუ სხვათა მიმართ ლაქუცს წაადგება. ეს ხომ იესოს მიერ დაგმოხილი ფარისევლობაა! რასაკვირველია, გარეგნულ მხარეებსაც თავიანთი აზრი აქვს, მაგრამ რა საჭიროა ლამაზად გაწყობილი სამარხი, რომლის შიგნით სინამდვილეში გახრწნის პროცესი იმალება? რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ადვილია, ეკონომიურია ან იქნებ ღირსეულიც და საპატიოც ზედაპირული სახეცვლილება, მაგრამ ეს ხომ ქვიშაზე აგებულ სახლს დაემსგავსება. მასში ადამიანი ვერც თავს იგრძნობს უსაფრთხოდ და ვერც თვითკმაყოფილებას მოიპოვებს.

ძირეული ცვლილება „სულიერი მოქცევის ნაყოფებს“ ითხოვს: ღმრთისთვის მოსაწონის ძიება, ღმრთაებრივი გეგმის თავმდაბალი და გულწრფელი აღიარება, ღმერთი-სიყვარულის მიერ ჩვენში ჩადებული მცნებების დაცვა, სათნოებით მოქმედება, ასკეტური ცხოვრება, ბოროტებასთან ჭიდილი, დიალოგის უნარი.

ეკლესიასაც სჭირდება მუდმივად განახლება, რამეთუ იგი ერთდროულად წმიდაცაა და ცოდვილიც, მშვენიერიცაა და ბნელიც, ეკლესიის მამათა მიერ გათავისებული ქებათა ქების ხატების მსგავსად; ღმერთმა იგი ახლადშობის განსაბანელით, სულიერი ცხებულებით განწმინდა; უბიწო ჰყო თავის თვალში, ვითარცა ნეფესთვის გამზადებული პატარძალი; მაგრამ იგი გახრწნილია თავისი შვილების ცოდვების გამო. ამიტომაც განუხრელად სჭირდება მას პატიება, განახლება, ღმრთის გულმოწყალებაზე მინდობა, რომელიც „დაივიწყებს მის ბრალს“ და მუდმივ სინორჩეს მიანიჭებს. როგორც ვერცერთი ქრისტიანი ვერ იტყვის, რომ მას არ სჭირდება განახლება, ასევე ვერ აუვლის გვერდს განახლებას ვერცერთი ეკლესია; როგორც ქრისტიანში იწყება სულიერი კვდომა მაშინ, როდესაც ფიქრობს, რომ არად ადგია ღმრთის სიყვარული, ეკლესიაც მაშინ კვდება სულიერად (გავიხსენოთ აპოკალიფსის სიტყვები თიატირას, ლაოდეკიის ეკლესიაზე), როდესაც ფიქრობს, რომ ყველაფერი საკმარისად აქვს, არაფრად სჭირდება ღმრთის სიტყვა, სხვა ეკლესიების დახმარება, ყველაფრის ცოდნა, როდესაც ვერ შეუმჩნევია მის ირგვლივ მიმდინარე ცვლილებები.

დიდმარხვის დრო – „ხელსაყრელი დროა“ სულიერი განახლებისათვის; დრო სიყვარულისათვის, მეტადრე ღოცვის, მარხვისა და სიქველის საკეთებლად; ეს ის იარაღია, რომლებიც ერთმანეთს აძლიერებს და ამართლებს, თუ, რა თქმა უნდა, „ერთობლივად მოქმედებენ“; როგორ შეიძლება იმარხულო, თუკი ღმერთთან და ეკლესიასთან შერიგების სურვილი არ გაქვს, ძირეული ცვლილება არ გსურს; მარხვაც კი შეიძლება იქცეს „დაკანონებულ“ საქმედ, მოდად, რამაც შესაძლოა მისი ჭეშმარიტი სახე დაკარგოს. სულიერი განახლება არ გამორიცხავს ხორციელს, პირიქით, მისი მომცვლეელია, რადგანაც ხორცი სულის სამკვიდრებელია, სულის ტაძარია; ნამდვილმა განახლებამ ჰარმონიულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მთლიანობაში უნდა მოიცვას ადამიანი და მისი ყოფიერება.

ჩვენი ეკლესიის სინოდიც „ხელსაყრელი დროა“ იმისათვის, რათა „ერთად ვიაროთ“ ღოცვის, მარხვის და ქველი საქმეების გზით; საჭიროა ერთი და იგივე მიზანი, ერთი და იგივე გზა, ერთმანეთისადმი ყურადღება, რათა „ერთად ვიაროთ“ და არ ჩავიმუხლოთ.

დაე, წლეგანდელი დიდმარხვა შეეწიოს ჩვენს ძირეულ განახლებას; შეეწიოს, რათა ძლიერნი დავრჩეთ რწმენაში და სიყვარულში, რის განსაახლებლად და საგემებლად აღდგომის ღამეს ყველანი ვიქნებით მიწვეულნი.

მამა გაბრიელე ბრავანტინი

Deus caritas est!

წმიდა მამის პირველ ენციკლიკას სწორედ ეს სათაური აქვს – *ღმერთი სიყვარულია!* რატომ აირჩია ბენედიქტე XVI-მ ამგვარი თემა? მიუხედავად იმისა, რომ ენციკლიკის ტექსტს სეკულარული სამყარო, ძირითადად, მოწონებით შეხვდა, ეს კითხვა დროდადრო მაინც გაისმის ხოლმე.

მაგრამ სანამ კითხვას ვუპასუხებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ენციკლიკა 25 იანვარს 8 ენაზე გამოქვეყნდა და, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ბესტსელერად იქცა. მხოლოდ იტალიაში მისი უკვე მილიონამდე ეგზემპლარი გაიყიდა. ენციკლიკა შესავლისა და ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილს ეწოდება „სიყვარულის ერთიანობა შესაქმემში და ხსნის ისტორიაში“, ხოლო მეორე ნაწილის სათაური ამგვარია: „ეკლესიის როგორც *სიყვარულის საზოგადოების* სიყვარულის პრაქტიკა“.

ენციკლიკის პირველი ნაწილი უფრო თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხასიათისაა, სადაც წმიდა მამა სიყვარულის ორ ტიპს გამოყოფს: ეროსსა და აგაპეს. აქ ნახვენებია ამ ორი – აღმავალი და დაღმავალი, ღმრთაებრივი და ადამიანური, სულიერი და ხორციელი – სიყვარულის ერთიანობა და მთლიანობა.

ენციკლიკის მეორე ნაწილი სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში სიყვარულის როლზე გვესაუბრება. წმიდა მამა მიგვითითებს, რომ ეკლესიის ფუნქცია სეკულარულ სამყაროში სოციალური სამართლიანობის დამყარება არაა, რომ ეს სახელმწიფოს ევალება, ეკლესიის მისია კი ადამიანთა გონების განწმენდაა. აი, სწორედ ეს უნდა იტვირთოს სიყვარულმა როგორც ეკლესიის პრაქტიკამ. სახელმწიფომ სამართლიანობაზე უნდა იზრუნოს, მან ყველა პირობა უნდა შექმნას ადამიანთა კეთილდღეობისა და დაცულობისათვის. მაგრამ თუნდაც ყველაზე უფრო სამართლიან სახელმწიფოში ყოველთვის იარსებებს ისეთი რამ, როგორცაა მარტოობა, სასოწარკვეთა, შიში. სიყვარული სწორედ იმ დროს მიდის ადამიანთან, როცა სახელმწიფო უძლურია.

ენციკლიკა ღმრთისმშობლის შესხმით სრულდება, რადგანაც, ბენედიქტე XVI-ის თქმით, სწორედ ღმრთისმშობელია უფლის სიყვარულის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი. ტექსტის ფინალი ესაა ამაღლებული ჰიმნი მარიამისადმი.

ენციკლიკის ტექსტს სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. აღინიშნა, რომ ერთგვარი მოულოდნელობა იყო ის, რომ პაპის ტექსტი არ შეიცავდა აგრესიული სეკულარიზმისა თუ თანამედროვეობის სხვა გამოწვევათა კრიტიკას; მაგრამ მიმომხილველებმა ისიც აღნიშნეს, რომ სიყვარულზე საუბარი თანამედროვე სამომხმარებლო საზოგადოებაში, სადაც თვითონ სიყვარული ხშირად სამომხმარებლო კონიუნქტურაშია ჩართული, უკვე თვისთავიდაა ყველაზე დიდი გამოწვევა.

ბევრმა მიმომხილველმა გაოცებით აღნიშნა ისიც, რომ პირველი ავტორი, რომელსაც წმიდა მამა თავის ენციკლიკაში აცტირებს, ფრიდრიხ ნიცშეა. თუმცა მარქსისა და ნიცშეს ნაშრომთა საფუძვლიანი ცოდნა არავის უკვირს ბენედიქტე XVI-საგან, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინტელექტუალადაა აღიარებული. რა თქმა უნდა, ნიცშესა და მარქსის ხსენება სულაც არაა შემთხვევითი. ორივე მათგანი „ახალი აზროვნებისა“ და „ახალი ღირებულებების“, უფრო ზუსტად, ევროპული

ნიჰილიზმისა და ანტიქრისტიანული მრწამსის ყველაზე რადიკალური გამომხატველნი არიან. წმიდა მამა ენციკლის პირველ ნაწილში სწორედ ქრისტიანობის ნიციშესუელ კრიტიკას უპირისპირდება, ხოლო მეორე ნაწილში საგანგებოდ ჩერდება სოციალური სამართლიანობის მარქსისტულ არაჰუმანისტურ გაგებაზე, რომელიც გულმოდგინების პიროვნულ აქტს ამცრობს და უარყოფს.

მაგრამ ნიციშესა და მარქსის კრიტიკა ოდენ ეპიზოდებია. როგორც თვალსაჩინო იტალიელი კინორეჟისორი ლილიანა კავანი აღნიშნავს, უმთავრესი პაპის ენციკლიკაში სულისა და ხორცის მთლიანობის ძალიან ღრმა და დამაფიქრებელი გააზრებაა. ამავე დროს, მისივე თქმით, „ალბათ, კიდევ წლები დაგვჭირდება, რომ სულისა და ხორცის ეს მთლიანობა, რომელიც ენციკლიკაშია ნაჩვენები, დაწერილი სიტყვიდან თანამედროვე კულტურის ცოცხალ ნაწილად იქცეს“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლილიანა კავანი XX საუკუნის გენიალური იტალიელი რეჟისორის – არისტოკრატის, ესთეტიკისა და კომუნისტის – ლუკინო ვისკონტის უსაყვარლესი მოწაფე იყო. XX საუკუნის 70-იან წლებში კავანიმ სახელი გაითქვა ისეთი სკანდალური ფილმებით, როგორებიცაა „ღამის პორტიე“, „ბერლინური რომანი“ და „ტყავი“. მაგრამ შემდგომ რეჟისორი ქალის ბიოგრაფიაში მკვეთრი ცვლილება მოხდა – 90-იან წლების დასაწყისში მან ფილმი გადაიღო წმ. ფრანცისკე ასიზელის შესახებ, რომელშიც მთავარი როლი ჰოლივუდის სუპერვარსკვლავმა მიკი რურკმა შეასრულა. ქრისტიანობისა და კათოლიკე ეკლესიისაკენ მობრუნების ეს ფაქტი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ ინტელექტუალიზმი არაა თვითკმარი ღირებულება. ამიტომაც, ინტელექტუალიზმი, რომელიც მოკლებულია სულიერებას, საბოლოოდ, შემოქმედებითი უნაყოფობით სრულდება.

ენციკლიკის ტექსტს ბევრი საგულისხმო გააზრება მოჰყვა საკუთრივ კათოლიკე ეკლესიის წიაღში. პირველ რიგში აღინიშნა ის, რომ ენციკლიკა გვიჩვენებს, რომ ქრისტიანული ღმერთის ძალა ესაა – სიყვარული, ღმერთი უძღურია ოდენ იქ, სადაც სიყვარული მთავრდება.

თავდაპირველად გვსურდა, რომ ეს ყოველთვიური მიმოხილვა მხოლოდ წმიდა მამის ენციკლიკისათვის დაგვეთმო, მაგრამ 6 თებერვალს ტრაპეზუნში მოწამებობრივად აღესრულა მამა ანდრეა სანტორო. ის რევოლუციის ორი გასროლით სიცოცხლეს გამოასალმეს იმ ეკლესიაში, სადაც იგი მსახურობდა. მამა ამდრეას ჟურნალ „საბას“ ამავე ნომერში საგანგებო წერილი ეძღვნება, მაგრამ, ჩვენი მხრივ, არ შეგვიძლია, არ აღვნიშნოთ შემდეგი: დღეს თვალს ვადევნებთ სწორედ იმის ნათელ ილუსტრაციას, რასაც კათოლიკე ეკლესიის დღევანდელი მეთაური – ბენედიქტე XVI – აგრესიული სეკულარიზმის ექსპანსიას უწოდებს. ესაა, ერთი მხრივ, საჯარო სივრციდან დემოკრატიისა და სინდისის თავისუფლების სახელით ყოველივე ქრისტიანულის სრული გამოძევება და დევნა, ხოლო, მეორე მხრივ, სიტყვის თავისუფლების სახელით აგრესიის რეალური გამოწვევა და პროვოცირება.

მამა ანდრეას მკვლელმა, 16 წლის თურქმა ყმაწვილმა აღნიშნა, რომ მან კათოლიკე მღვდელი წინასწარმეტყველ მუჰამადის შეურაცხმყოფელი კარიკატურების გამო მოკლა (როგორც ცნობილია, ეს კარიკატურები ჯერ კიდევ გასულ წელს გამოქვეყნდა ერთ-ერთი დანიურ ჟურნალში, რის შემდეგაც მან თითქმის ყველა ევროპული „პროგრესული“ ჟურნალ-გაზეთი შემოიარა). არადა, მამა ანდრეა სწორედ ის პიროვნება იყო, ვისაც აღაშფოთებდა სხვათა რელიგიური მრწამსის ამგვარი შეურაცხყოფა. როგორც თვითონვე აღნიშნავდა ერთ წერილში, მას ხომ საკუთარი თავი წარმოედგინა როგორც ერთ-ერთი ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

მორალური რელატივიზმისა და ისლამის – დახვეწილი და უხეში აგრესიის – დაპირისპირების მსხვერპლი კათოლიკე მოძღვარი აღმოჩნდა (ერთი მცირე შენიშვნა: როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ სხვადასხვა კათოლიკურ ჟურნალთა რედაქტორები და ავტორები, ეს კარიკატურები ღიმილისმომგვრელია იმ ჭეშმარიტი აგრესიის ფონზე, რაც ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმდინარეობს). რომის დიოცეზის პაპის ვიკარიუსმა, კარდინალმა კამილო რუინიმ დასაფლავებისას აღნიშნა, რომ ეკლესია კიდევ ერთხელ შეიმოსა სისხლის სამოსით და რომ მამა ანდრეა მესამე ათასწეულის პირველი მოწამეა. მაგრამ ქრისტეს ეკლესია სწორედ მარტვილთა სისხლზე დგას, ის ამ სისხლით ოდენ ძლიერდება და სულიერად იზრდება. როგორც კარდინალმა რუინიმ დასძინა, მამა ანდრეას ბეატიფიკაციის პროცესს, რომელიც კანონიკური სამართლის პროცედურათა დაცვით წარიმართება, წინ ვერაფერი აღუდგება.

მამა ანდრეა 2004 წლის დეკემბერში თბილისის წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარსაც ეწვია, სადაც, წირვის ჩატარების შემდეგ, წინასაშობაო კატეხიზაციასაც დაესწრო. იმ დღეს შეკრებილ მორწმუნეებს მან თავი დაამახსოვრა როგორც უკიდურესად მოკრძალებულმა და ქრისტესათვის თავდადებულმა მოღვაწემ, რომლის მთელი ცხოვრება და, ჭეშმარიტად, მოწამეობრივი აღსასრული კიდევ ერთი დადასტურებაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ ღმერთი სიყვარულია – სიყვარული, რომელიც „არასდროს მთავრდება“ (1კორ. 13:8).

იაკობ დუმბაძე

(რუბრიკა) კათოლიკე ეკლესია საქართველოში

კარდინალის სტუმრობა ერთი ვიზიტის ქრონიკა: კარდინალი ვალტერ კასპერი საქართველოში

თებერვალი ღირსშესანიშნავი მოვლენით დაიწყო კათოლიკე ეკლესიისათვის საქართველოში. საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ვატიკანიდან სტუმარი ეწვია – ქრისტიანთა ერთობის ხელშეწყობის პაპის საბჭოს თავმჯდომარე, კარდინალი ვალტერ კასპერი. ოთხდღიანი ვიზიტი მეტად საქმიანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა: კარდინალი შეხვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმიდესობასა და უნეტარესობას, ილია II-ს, ქვეყნის ოფიციალურ პირებს, საზოგადოების წარმომადგენლებს, სასულიერო პირებს, საქართველოს კათოლიკური საკრებულოების სამწყსო საბჭოებს, თბილისის კათოლიკე მრევლს, პრესის მუშაკებს. იყო საზეიმო შეხვედრები, ღმრთისმსახურებაში მონაწილეობა და ინტერვიუები.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ერთ-ერთი პირველი ვიზიტი კარდინალ ვალტერ კასპერს საქართველოს საპატრიარქოში ჰქონდა. ეს ვიზიტი ჯერ კიდევ გასულ წელს იყო დაგეგმილი, მაგრამ პაპის გარდაცვალებისა და ახალი პაპის არჩევის გამო მან თითქმის ერთი წელი დაიგვიანა.

კარდინალს მეტად თბილი და მეგობრული შეხვედრა ჰქონდა მის უწმიდესობასთან, ილია მეორესთან და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების მანძილზე ამგვარი კეთილგანწყობილი დიალოგი ორი ეკლესიის წარმომადგენლებს შორის არ ყოფილა. საუბრისას სრული თანხმობა და ურთიერთგაგება სუფევდა, რაც ზოგ მონაწილეს უხვეულოდაც კი მოეჩვენა. თუმცა გაოცება ჯერ წინ ელოდათ: როდესაც სტუმარი სასულიერო აკადემიას ეწვია, მას და დელეგაციის წევრებს აკადემიის შესასვლელთან სემინარისტებმა და აკადემიის სტუდენტებმა გზა გადაუღობეს და შენობაში შესვლის უფლება

არ მისცეს. მაგრამ, ცხადია, ცალკეულ ფუნდამენტალისტთა არადიპლომატიური გამოხდომები ვერ იმოქმედებს რომისა და საქართველოს ეკლესიების სამომავლო კეთილ ურთიერთობებზე, მით უმეტეს, რომ საქართველოს ხელისუფლების, ხალხისა და თვით მრევლის დიდი ნაწილის სურვილს ევროპულ სახელში ინტეგრაცია წარმოადგენს. საერთო გლობალიზაციის პერიოდში ცალკეული არატოლერანტული გამოხდომები მოსალოდნელია, მხოლოდ ისინი საერთო ურთიერთობებზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს. ეს გამოვლინდა კიდევ კარდინალ კასპერის ვიზიტის დროს გამართულ სამთავრობო და არასამთავრობო შეხვედრებში.

1 თებერვალი

საგარეო საქმეთა სამინისტროში ოფიციალური შეხვედრის შემდეგ, კარდინალი ვალტერ კასპერი საულხან-საბა ორბელიანის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის რექტორის, პიერ დიუმულენის მიწვევით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში განთავსებულ დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის დარბაზში ატარებს კონფერენციას: „კათოლიკე ეკლესიის მიმართება მართლმადიდებლობასთან“. კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის რექტორმა, პიერ დიუმულენმა, კარდინალს მიესალმნენ საქართველოში საფრანგეთის ელჩი, აგრეთვე, კავკასიის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო და წმიდა საყდრის დესპანი საქართველოში, მთავარეპისკოპოსი კლაუდიო გუჯეროტი.

კარდინალმა თავის ვრცელ მოხსენებაში გააანალიზა საქართველოში კათოლიკე და მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობები, ისაუბრა არსებულ პრობლემებზე და, რაც მთავარია, წარმოადგინა მისეული მოსაზრება ამ წინააღმდეგობის დასაძლევად. ოთხ პუნქტად ჩამოყალიბებული ეს რჩევები ღრმა, საფუძვლიანი ანალიზის შედეგია და სამომავლო პერსპექტიული მოქმედების, სასიკეთო ურთიერთობების საფუძვლად გვესახება. კარდინალის მთელ მოხსენებას ლაიტმოტივად გასდევდა მოწოდება საქართველოს კათოლიკე მორწმუნეებისადმი – მუდამ ღირსეულად გრძნობდეთ თავს, რადგან თქვენ ხართ ნაწილი მსოფლიო კათოლიკე ეკლესიისა, ასევე, ღირსებით, სიყვარულით და ღიმილით აღსავსენი იყავით სხვა კონფესიის წარმომადგენელთა მიმართ.

მიღება ქორთიარდ მარიოტში

1 თებერვალს, საღამოს ქორთიარდ მარიოტში კარდინალ ვალტერ კასპერისა და წმიდა საყდრის დესპანის სახელით, ოფიციალური მიღება გაიმართა. მიღებას კათოლიკე მღვდელმსახურთა გარდა, ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის წევრები, სახალხო დამცველი, დედაქალაქის მერი, საზოგადოების წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის ელჩები, მართლმადიდებელი, ბაპტისტი, ლუთერელი და სომხური ეკლესიის მღვდელმთავრები, სხვა სასულიერო პირები.

2 თებერვალი

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის ინსტიტუტის დიდ დარბაზში გაიმართა ვიზიტით გათვალისწინებული მორიგი შეხვედრა საქართველოს ლათინური და ასირიულ-ქალდეური საკრებულოების სამწესო საბჭოებთან. სამწუხაროდ, დიდთოვლობის გამო ამ შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღეს დასავლეთ საქართველოს საკრებულოების სამწესო საბჭოებმა.

შეხვედრის დასაწყისში ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ საკრებულოთა წარმომადგენლებს წარუდგინა კარდინალი ვალტერ კასპერი. ეკუმენური ურთიერთობისა და კულტურული საქმიანობის საბჭოს სახელით კარდინალს მიესალმა ქალბატონი მანანა ანდრიაძე. სამრევლო საბჭოს წევრებს საშუალება ჰქონდათ, კარდინალისათვის მოეხსენებინათ თავიანთი საკრებულოების ისტორიისა და ცხოვრების შესახებ. ვრცლად ისაუბრეს არსებული პრობლემების შესახებ ივლიტის, უდეს, ახალციხის, ვალეს საკრებულოების წარმომადგენლებმა. მათ დიდი გულისტკივილი გამოთქვეს უკანონოდ წართმეული ეკლესიების, ასევე, იმ მორალური დისკრიმინაციის შესახებ, რასაც კათოლიკე მორწმუნენი განიცდიან რეგიონებში ადგილობრივ ხელისუფალთა, სკოლების პედაგოგთა და მასმედიის მუშაკთა მხრიდან. საქართველოში კათოლიკეთა მიმართ გამოჩენილი ანტიტოლერანტული დამოკიდებულების ერთობ სევდიანი სურათი შეიქმნა. მუქ სურათს ოდნავი სინათლე და ოპტიმიზმი მიანიჭა უურნალ „დიალოგის“ მთავარი რედაქტორის, ლევან აბაშიძისა და უურნალ „საბას“ სარედაქციო საბჭოს წევრის, ნუგზარ ბარდაველიძის გამოსვლებმა. მათ კარდინალს გააცნეს ქართული კათოლიკური უურნალების საქმიანობა, რაც თავისი ტოლერანტული შინაარსით ზუსტად უპასუხებს წმიდა საყდრის ქრისტიანთაშორისი ურთიერთობების განწყობას.

შეხვედრის ბოლოს, კარდინალმა მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი სიტყვით მიმართა სამრევლო საბჭოების წარმომადგენლებს (კარდინალის გამოსვლის ტექსტს ქვემოთ შემოგთავაზებთ).

წმიდა წირვა საკათედრო ტაძარში

2 თებერვალს კათოლიკური სამყარო სახეიმოდ აღნიშნავდა მაცხოვრის ტაძრად წარდგენის – მირქმის დიდ დღესასწაულს. 17 საათზე წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების ტაძარში წმიდა წირვა, სასულიერო დასთან ერთად, აღავლინა კარდინალმა ვალტერ კასპერმა.

საღმრთო ლიტურგიაში მონაწილეობდნენ საქართველოში მოქმედი ყველა სასულიერო ორდენის წარმომადგენლები: წმ. სტიგმელთა და სალუზიანელთა კონგრეგაციების წარმომადგენლები, წმ. კამილოს ორდენის წევრები, წმ. იოსების პატარა ქალიშვილების, წმ. კამილოს ქალიშვილების, წმ. ელისაბედ უნგრელის და დედა ტერეზას მოწყალების ორდენის მონაზვნები.

სიტყვის ლიტურგიის შემდეგ, კარდინალმა ვალტერ კასპერმა ქადაგებით მიმართა შეკრებილ მრევლს.

გთავაზობთ მცირე ამონარიდს ამ ქადაგებიდან:

„მინდა, ეს დღე მივულოცო მათ, ვინც ქრისტესადმი შეწირული ცხოვრებით ცხოვრობენ – ყველა ბერსა და მონაზონს. ჩემთვის დიდი პატივია, გადმოვცეთ წმიდა მამის, ბენედიქტე XVI-ის სალამი. რომიდან გამომგზავრებამდე, საშუალება მქონდა, მესაუბრა წმიდა მამასთან ჩემი საქართველოში ვიზიტის შესახებ. წმიდა მამამ დამავალა, თქვენთვის მისი განსაკუთრებული კურთხევა გადმომეცა...

ღმერთი სიყვარულია, რომელიც ხილულიქმნა იესო ქრისტეში, – ეს არის თემა პაპ ბენედიქტე XVI-ის ენციკლიკისა, რომელიც სულ ერთი კვირის წინ გამოქვეყნდა. ასე რომ, როგორც ამ ენციკლიკაში თვით პაპმა თქვა, ღმერთი, ქრისტე და სიყვარული ერთად შეურწყენენ, როგორც რწმენისა და სიცოცხლის ნათელი.

დღეს ამ ნათლის გამოცხადებას ვზეიმობთ. ამის გამო, უძველესი ეკლესიის ტრადიციის მიხედვით, ვანთებთ და ვაკურთხებთ სანთლებს. შეგვიძლია ვთქვათ: ყველანაირი სიბნელის მიუხედავად, მსოფლიოში და, ასევე, ხშირად ჩვენს ცხოვრებაში ქრისტესთან ერთად არის ნათელი...

იყავით მტკიცენი საკუთრივ აქ, საქართველოს უძველესი ქრისტიანული ტრადიციების მქონე მიწაზე, უამრავი წამებულის სისხლით გაჟღენთილ მიწაზე, მთელ მსოფლიოში თავისი მაღალი ქრისტიანული კულტურითა და გამრჯე ხალხით სახელგანთქმულ მიწაზე! თქვენ უნდა იყოთ მარილი მიწისა და ნათელი ქვეყნიერებისა. აქ შეგიძლიათ თქვენი ცხოვრებითა და საქმეებით დაამოწმოთ ღმრთის სიახლოვე და ახალი სიცოცხლის მაღლი ყველა ადამიანისათვის, იქნება ის კათოლიკე თუ სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელი. ქრისტე მოვიდა ყველა ადამიანის, ყველა ერის, ყველა კულტურისა და ყველა რასის განსანათლებლად და სახსნელად...

მინდა დაგარწმუნოთ, რომ მთელ მსოფლიოში ბევრნი არიან, რომლებიც მხარში გიდგანან თავიანთი ღოცვებითა და, რამდენადაც შესაძლებელია, თავიანთი დახმარებით. ერთად გვინდა ქრისტეს – სამყაროს ნათელის – დამოწმება; ერთად უნდა ვიმუშაოთ უფრო სამართლიანი და მშვიდობიანი მსოფლიოსათვის, სადაც არის იმედი ჩვენთვის და ახალი თაობებისათვის.

ვთხოვოთ ღმერთს კურთხევა. ამინ!

წმიდა წირვის შემდეგ, კარდინალმა მოინახულა წეროვანის სასულიერო ცენტრი, გაეცნო სემინარიას, ჰქონდა შეხვედრები მღვდელმსახურებთან, მონაზვნებთან და სემინარისტებთან.

3 თებერვალი

კარდინალ ვალტერ კასპერს ოქმით გათვალისწინებული ოფიციალური შეხვედრა ჰქონდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან.

შეხვედრის დროს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მაღალმა სტუმარმა, წმიდა მამის, ბენედიქტე XVI-ის მისალმება გადასცა. შემდეგ საუბარი შეეხო საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მდგომარეობას და ვატიკანის ურთიერთობებს როგორც საქართველოსთან, ისე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. კარდინალმა პარლამენტის თავმჯდომარეს ასევე გააცნო ყველა ის ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით გამოწვეული პრობლემა, რომელსაც საქართველოს კათოლიკე მორწმუნეები აწყდებიან. პარლამენტის თავმჯდომარემ გულისყურით მოისმინა ეს პრობლემები და კარდინალს მასში გარკვევასა და დახმარების აღმოჩენას დაჰპირდა.

ნუგზარ ბარდაველიძე

შეხვედრა საქართველოს კათოლიკურ სამწყსო საბჭოების წარმომადგენლებთან, თბილისი, 2 თებერვალი, 2006

კარდინალი ვალტერ კასპერი, ქრისტიანთა ერთობის ხელშეწყობის პაპის კომისიის თავმჯდომარე: თავდაპირველად მაღლობას მოგახსენებთ თქვენი შეკითხვებისათვის. გარწმუნებთ, რომ არ დამავიწყდება ის, რაც აქ ითქვა და აუცილებლად შევატყობინებ წმიდა მამასაც. დასმული იყო ბევრი კითხვა. ყველა მათგანზე პასუხის გაცემა ახლა არ შეგიძლია და თან არც საგანგებო რეცეპტი მაქვს. მე ამ ქვეყნის კათოლიკეებს დიდ პატივს გცემთ, რადგან თქვენ რთულ დროში, განსაკუთრებით, კომუნისტური რეჟიმის დროს, შეინარჩუნეთ თქვენი სარწმუნოება. ამისათვის თქვენ დიდი მაღლობა გეკუთვნით.

განსაკუთრებით მახსოვს მამა იანი, რომელიც ამ მიწის ჭეშმარიტი მწყემსი იყო და იგი ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ჩემს აქ ჩამოსვლამდე თქვენმა ეკუმენიზმის კომისიამ თქვენს ეპისკოპოსთან ერთად გამომიგზავნა ვრცელი წერილი, რომელშიც აღნუსხული იყო ყველა თქვენი პრობლემა. ის წერილი მე დიდი ყურადღებით წავიკითხე.

მსურს, ვუპასუხო შეკითხვას, თუ რომელ პოლიტიკას უნდა გააჰყვით. მე ვერ მოგცემთ პოლიტიკურ რჩევას, რადგან პოლიტიკოსი არ ვარ, – ამ შეკითხვას შემიძლია ვუპასუხო მხოლოდ როგორც მოძღვარმა. ჩემი პასუხი კი ის არის, რომ თქვენ ხართ კათოლიკეები და ამით უნდა იამაყოთ. კათოლიკეები საქართველოში XIII საუკუნიდან არსებობენ და მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ ქვეყნის ისტორიაში. თქვენ ეკუთვნით საქართველოს. საქართველო უდიდესი კულტურის ერია. საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა და ეკუთვნის ქრისტიანულ სამყაროს. საქართველო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ხილია და თქვენ უფრო ქრისტიანულ ევროპას მიეკუთვნებით. მაგრამ ეს არ არის პოლიტიკური არჩევანი, ეს ეკლესიის არჩევანია. თქვენ კათოლიკე ეკლესიას ეკუთვნით.

მაგრამ ისიც ვიცით, რომ ამ ქვეყნის უმეტესი ნაწილი მართლმადიდებელია. ვხედავ, რომ თქვენ ბევრი პრობლემა გაქვთ მართლმადიდებლებთან. მე მქონდა შესაძლებლობა, მელაპარაკა მის უწმიდესობასა და უნეტარესობასთან, ილია II-თან და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ხვალ კი მექნება შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარესთან, ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან. ამ შეხვედრებისას მე წარვადგინე ყველა თქვენი პრობლემა და შემიძლია ვთქვა, რომ საუბარი ძალიან თბილი და გახსნილი იყო. უნდა განვასხვავოთ მართლმადიდებელი ეკლესია იმ პატარა ჯგუფებისგან, რომლებიც ეკლესიაში არსებობს, – ის ფუნდამენტალისტური ჯგუფები, რომელთაც სძულთ კათოლიკე ეკლესია და ამიტომ იბრძვიან თქვენს წინააღმდეგ. იცოდეთ, რომ ისინი არ წარმოადგენენ მთელ მართლმადიდებელ ეკლესიას. მართლმადიდებელი ეკლესია რომის ეკლესიის დაა. ჩვენ უნდა მოვიქცეთ, როგორც ერთი ოჯახი. მოგეხსენებათ, რომ ოჯახში არის ბევრი კონფლიქტი, მაგრამ ეს ყველაფერი ოჯახის შიგნით ხდება და არა მის გარეთ, – მით უმეტეს, საზოგადოებაში. ჩვენ უკვე გავაუმჯობესეთ ურთიერთობა სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან და ვიმედოვნებ, რომ ამას შევძლებთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთანაც. მე არ ვგულისხმობ ფუნდამენტალისტთა ჯგუფებს, არამედ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელშიც მრავალი ქრისტიანი ჭეშმარიტი მორწმუნეა, – ის, ვინც არ ეთანხმება ამგვარი ჯგუფების საქმიანობას.

მინდა ისიც ვითხრა, რომ თქვენ უნდა მოითხოვოთ იურიდიული სტატუსი. თქვენ გაქვთ ამის უფლება. სწორედ ამ დილით ამის შესახებ ვესაუბრე თქვენი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს. თქვენ უნდა გქონდეთ იურიდიული სტატუსი როგორც კათოლიკე ეკლესიას. მე შევასხენე მინისტრის მოადგილეს, რომ კათოლიკეები აქ მოღვაწეობენ XIII საუკუნიდან, მიეკუთვნებიან ამ ქვეყანას და დღესაც დიდი წვლილი შეაქვთ ამ ქვეყნის ცხოვრებაში, განსაკუთრებით საქველმოქმედო „ქარიტას“-ის სახით. ეს ორგანიზაცია ესმარება აქ მცხოვრებ ხალხს და კათოლიკურ ეკლესიასაც აქვთ უფლება, აღიარებული იქნეს მთავრობის მიერ. მინისტრის მოადგილემ მიპასუხა, რომ თქვენ გაქვთ ამის უფლება და ჩვენ ამისათვის ყველაფერს გავაკეთებთ, – როგორც ლათინური წესის, ასევე, სომხური და ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკეთათვის. ახლა ამ საქმეზე ზრუნვა ევალება წმიდა საყდრის დესპანს, მონსინიორ კლაუდიო გუჯეროტის, – სწორედ იგია მოვალე, იზრუნოს ამ საკითხების მოსაგვარებლად, აგრეთვე, თქვენს ეპისკოპოსსაც. იურიდიული სტატუსის დადგენა უნდა მოხდეს წმიდა საყდარსა და საქართველოს

სახელმწიფოს შორის. ასევე გვქონდა საუბარი ძველ ეკლესიების მითვისებასა და ახალი ეკლესიების მშენებლობაზეც. ამაზეც მან მიპასუხა, რომ იგი აღმოვიჩინებთ დახმარებას. ვისაუბრეთ, აგრეთვე, ბავშვების დისკრიმინაციაზე სკოლებში. ხვალ, როცა უნდა შევხვდე პარლამენტის თავმჯდომარეს, მასთანაც წამოვჭრი ამ თემას, რადგან ეს ეწინააღმდეგება დემოკრატიულ სულს, – დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველას ერთი და იგივე უფლება უნდა ჰქონდეს.

დაბოლოს, რისი გაკეთება შეგიძლიათ ასეთ სიტუაციაში? მე ვიტყვოდი, რომ უნდა მოიქცეთ როგორც ჭეშმარიტი მოქალაქენი და ქრისტიანები. შეგიძლიათ მოქალაქეთა უფლებების მიხედვით იმოქმედოთ, მაგრამ ყურადღებით უნდა იყოთ. ამ შემთხვევაში სახარება გვაძლევს რამდენიმე რჩევას. იესო ჩვენი ჭეშმარიტი მწყემსია, ჩვენი მაგალითია, ჩვენ მისი მორჩილნი უნდა ვიყოთ, – იესო კი გვეუბნება, რომ არ შეიძლება ძალადობაზე ძალადობით პასუხი, რომ ამას სიძულვილამდე მივყავართ. ასეთი მეთოდით წავაგებთ, ჩვენ უმცირესობა ვართ და ამიტომ წაგებულნი დავრჩებით. დიას, ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერნი, მაგრამ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი მშვიდად და სიყვარულით. თქვენ კარგად იცით, რომ ახალ აღთქმაში წერია: *“პირველ რიგში სიყვარული”*. ვფიქრობ, რომ პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით. ახლა სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს. მე რომ დიდი ხმაური ავტეხო, სახელმწიფოს წარმომადგენლები განაცხადებენ, რომ მათთან საქმის დაჭერა არ მინდა. უნდა ვიმოქმედოთ ფრთხილად. გარწმუნებთ, რომ წმიდა საყდარი, ვატიკანი თქვენს მხარეზეა და თქვენი სახელმწიფოსაგან ყველაფერს მოითხოვს. გუშინ საღამოს, მიღებაზე, რომელიც წმიდა საყდრის დესპანმა მოამზადა თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში, შესაძლებლობა მქონდა, მესაუბრა სხდასხვა ელჩებთან: ვესაუბრე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, აგრეთვე, გერმანიის ელჩს, რადგან მე გერმანელი ვარ და სხვა დემოკრატიული ქვეყნების ელჩებს, – ისინიც შემპირდნენ, რომ დაგვეხმარებიან.

როგორ უნდა იმოქმედოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში? მართალი ბრძანდებით, რომ ფუნდამენტალისტურ ჯგუფებთან დიალოგი შეუძლებელია. ისინი სისულელეებს ლაპარაკობენ, მათთან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან სისულელეებთან ღმერთიც უძღურია. იმათთან, ვინც არ არის ფანატიკოსი, შესაძლებელია დიალოგის წარმართვა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მივესალმეთ მათ სიყვარულით, ვიყოთ თავაზიანნი, გახსნილნი, მაშინაც კი, როცა მათ ეს არ სურთ. მთავარია, ჩვენ არ უნდა ვიყოთ ფანატიკოსები. არ არსებობს არაფერი უფრო დამარწმუნებელი, ვიდრე სიყვარული და ღიმილი. ბევრმა მართლმადიდებელმა არ იცის, ვინ არიან კათოლიკეები და ხშირად კათოლიკეებმაც არ იციან, თუ ვინ არიან მართლმადიდებლები. ამიტომ ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ უშვებთ ყოველთვიურ კათოლიკურ ჟურნალს „საბა“ და პერიოდულ კათოლიკურ-მართლმადიდებლურ ჟურნალს „დიალოგი“, რომლის მეშვეობით ხალხს შეუძლია გაიგოს, თუ ვინ არიან კათოლიკეები, რა გვწამს და რა – არა. როგორც ჩემთვის ცნობილია, აქ არსებობს, აგრეთვე, თეოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც ყველასათვისაა გახსნილი, მათ შორის, მართლმადიდებელთათვის, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია.

ახლა კი დროა წავიდეთ წმიდა წირვაზე, რადგან არ უნდა ვალოდინოთ უფალს. უნდა ვილოცოთ და დარწმუნებული ვარ, რომ სული წმიდის ძალით, მოთმინებით, ლოცვით, სიყვარულით ბევრ რამეს მივალწევთ. სულმა წმიდამ მოგვიყვანა აქ ეკუმენიზმის გზაზე და დარწმუნებული ვარ, რომ ის ჩვენ დაგვეხმარება. ეს ქვეყანა იზოლირებული იყო, ამიტომ აქ ეკუმენიზმი გვიან შემოვიდა, მაგრამ სული წმიდა დაგვეხმარება. უნდა ვილოცოთ, რადგან ლოცვა მსოფლიოს უდიდესი ძალაა. ეს არის ჩემი რჩევა.

კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ ყველაფრისათვის.

გაგუფრთხილდეთ ერთმანეთს!

81 წლის ქრისტიანი ქალი ვარ, მამა-პაპით კათოლიკურ აღმსარებლობას ვეკუთვნი, მაგრამ ჩემთვის ქრისტიანობა განუყოფელია, დავდივარ როგორც კათოლიკურ, ისე, მართლმადიდებლურ ეკლესიებში, ვლოცულობ, სანთლებს ვანთებ და ღმერთს ქრისტიანობის გამთლიანებაზე ვევედრები. ჩვენს ეკლესიაში ყველა მართლმადიდებლურ (ანუ – ძველი სტილით) დღესასწაულებს ვიხსენიებთ და ვლოცულობთ მათთვის. მაგრამ გული შემტკივა იმაზე, რომ მსგავს ქმედებებს მართლმადიდებელთაგან ვერ ვხედავ. რატომ წაგვართვით ჩვენი კუთვნილი ეკლესიები ივლიტაში, ბათუმში, უდემში, ქუთაისში, გორში? განა ეს უფლის ათი მცნების დარღვევად არ მიგაჩნიათ? სხვისი საქონელი ნუ შეგშურდება და სხვის ქონებას ნუ მიითვისებო, – გვასწავლის უფალი. ყველას მოგვეხსენება, რომ ისიც სიყალბეა, თითქოს ეს ეკლესიები თავდაპირველად მართლმადიდებლური იყო.

მამაჩემისა და პაპაჩემისაგან გამიგონია, როგორ აშენებდნენ ივლიტის ეკლესიას – საკუთარი ზურგით ეზიდებოდნენ სამშენებლო მასალას: ქვიშას, ფიქალს, წყალს, ბუზმარეთის შემოგარენში დამზადებულ სამშენებლო ქვებს. მუშაობაში მთელი სოფელი იყო ჩართული. სოფელ უდემში გამაჰმადიანებული ქართველებიც კი იღებდნენ მონაწილეობას კათოლიკური ეკლესიის მშენებლობაში, ფულადი სახსრებით თუ ფიზიკური ძალით. ყველაფერი ჩვენი მამა-პაპის თვალწინ ხდებოდა და როგორ შეიძლება ხალხის მეხსიერებიდან იმის ამოშლა, რისი უშუალო მონაწილენიც თვითონ იყვნენ?

რატომ ცდილობენ მავანნი, საეჭვო ღირებულების, შეკვეთილი ბროშურებითა და სტატიებით, ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირონ? რატომ ცდილობენ ქრისტიანობის გათიშვას? და რაოდენ სამწუხაროა, რომ ყოველივე ამას ქრისტეს სახელით აკეთებენ.

არ შეიძლება კათოლიკობაზე საეჭვო ღირებულების უცხოური სერიალების მიხედვით იმსჯელო. ნათესავენს შორის ქორწინება და სხვა დარღვევები, რასაც ამ ფილმებში ვხვდებით, მათი ეროვნული ნიშანია და არა – სარწმუნოებრივი. კათოლიკობა, როგორც მართლმადიდებლობა, მკაცრად იცავს ქორწინების საიდუმლოს და კრძალავს ნათესავთა შორის ჯვრისწერას. თუ კარგად მოვიძიებთ, მსგავს შემთხვევებს საქართველოში და სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებშიც საკმაოდ ვიპოვით და განა ეს იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ მართლმადიდებლები ნათესავთა შორის ქორწინებას მხარს უჭერენ?

ჩვენ ყველანი ქრისტიანები ვართ, მრავალტანჯული საქართველოს შვილები. ჩვენი ვალია, ყველამ ერთად, ხელებდაკაპიწებულებმა, ვაშენოთ ჩვენი ქვეყნის მომავალი და ძვირფასი დრო ერთმანეთის განქიქებასა და უსაფუძვლო, უზრო ბრალდებების გამოგონებაში არ დავხარჯოთ.

გაგუფრთხილდეთ მომავალ თაობებს, ვასწავლოთ მათ მოყვასის სიყვარული და ჩვენს საყვარელ, ხელისგულისოდენა სამშობლოს დაპირისპირებისა და სიძულვილის ასპარეზად ნუ გადავაქცევთ!

გფარავდეთ ღმერთი!

ნინო კაკოშვილი
ახალციხე

რათა აღარ იყოს ქრისტიანებს შორის მტრობა და შუღლი

თანამედროვე მსოფლიოში არსებულ მრავალ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კონფესიათა შორის ურთიერთობაა. საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანები, რომელთა შორის ისეთი მტრული დამოკიდებულება არ არსებობდა, როგორც დღეს ვხვდებით. ამ გაუცხოების მთავარი მიზეზი კი ქრისტიანობაში გაუცხოება და შიშია.

დღეს საქართველოს ყველა საინფორმაციო საშუალებით განუწყვეტლივ მიმდინარეობს საუბარი იმის შესახებ, რომ ქართველებისათვის მისაღები მხოლოდ მართლმადიდებლობაა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთ მოძღვართა აზრით, თუ მართლმადიდებელი არა ხარ, მაშინ არც ქართველი ხარ და ერის მოღალატედ ხარ მიჩნეული. ნუთუ მართლა მარტო მართლმადიდებლობაა ქართველი ხალხის სარწმუნოება?

ამჟამად, საქართველოში კათოლიკე ეკლესიაში ძირითადად უცხოელი მოძღვრები ემსახურებიან მრევლს (ქართველი კათოლიკე მოძღვრების სიმცირე, სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობაა, მაგრამ ეს გამოწვეულია კომინისტური რეჟიმის დროს ქრისტიანების, კერძოდ კი, კათოლიკეების განსაკუთრებული დევნა-შევიწროებით), რომლებიც არც პროზელიტიზმს ეწევიან და არც კონკურენციას უწევენ მართლმადიდებელ ეკლესიას, თუ სხვა რელიგიურ დაჯგუფებებს. ჩვენი სულიერი მოძღვრები მავანთაგან ხშირად ისმენენ შეურაცხყოფას: „დაბრუნდი შენს ქვეყანაში, ეს შენი სამშობლო არ არის!“

ძალზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან უდემო მცხოვრები კათოლიკეები. უხსოვარი დროიდან უდემო ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) დიდი კათოლიკური სოფელი იყო, უმშვენიერესი კათოლიკური ეკლესიითა და ჭეშმარიტი მორწმუნეებით, დღეს კი შევიწროებული და დამცირებულია მართლმადიდებელთა მიერ. განსაკუთრებულ სულიერ ტკივილს განიცდიან ბავშვები, რომლებსაც მასწავლებლები მოუწოდებენ, მხოლოდ ის ლიტერატურა წაიკითხონ, რომლებსაც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გამოსცემს. სკოლებში ისწავლება არა რელიგიის ისტორია, არამედ მართლმადიდებლური რელიგიის საფუძვლები. თუ მოსწავლე კათოლიკურად გამოისახავს პირჯვარს, ეუბნებიან, რომ ეს ცოდვაა და ცეცხლში დაიწვება. ბავშვებს კატეხიზაციაზე სიარულს უშლიან. მართლმადიდებელი მღვდლები მორწმუნე კათოლიკეებს ერის მოღალატეებს უწოდებენ და ავრცელებენ ჭორებს, რომ კათოლიკობა ცოდვაა და სიკვდილის შემდეგ ისინი ჯოჯოხეთში მოხვდებიან. ხდება კათოლიკეთა ხელახალი „გადანათვლა“. უდელი კათოლიკეები განსაკუთრებით განიცდიან ეკლესიის წართმევას. ეკლესიიდან გაიტანეს კათოლიკური ხატები, საშობაო ფიგურები (პრეხეპე), სკამები. დღეს იმ მოხუცებს, რომლებიც ამ ეკლესიაში მოინათლნენ, აქ მიიღეს პირველი ზიარება და სხვა საიდუმლოებები, ეკლესიაში შესვლა და ღოცვა ეკრძალებათ. განა ამას რაიმე კავშირი აქვს ქრისტიანობასთან? თუ საქართველოში უმრავლესობას მართლმადიდებლები წარმოადგენენ და მეტი ძალა აქვთ, განა ეს უფლებას აძლევთ, რომ სხვისი ქონება მიისაკუთრონ? არავის აქვს უფლება, შეურაცხოს სხვისი გრძნობები, მით უფრო ქრისტიანმა ქრისტიანისა. როცა კათოლიკეს ეკლესიას წაართმევ და შემდეგ დასცინი, სახლში ღოცულობენო, განა ეს არის ქართული მართლმადიდებლობა? ეს რელიგიაში გაუცხოების რეალობა და გაუნათლებლობაა. ალბათ, უკვე დადგა დრო, წერტილი დაეუსვათ ამ უხერხულ მიზეზებს, რომ საბოლოოდ ერთმანეთს გადაგვხვიოთ, ისევე, როგორც დღეს მორწმუნეები წმიდა წირვის დროს მშვიდობის ამბორს ვცვლით და ვამბობთ: „ქრისტე ჩვენს შორისაა“ და პასუხად ვიღებთ: „არის და იქნება“. მაგრამ სად არის ქრისტე ჩვენს შორის, თუკი ერთმანეთი გვძულს?

სათქმელი პეტრე მოციქულის სიტყვებით მინდა დავასრულო: „თქვენ უწყით, რომ იუდეველ კაცს ეკრძალება ურთიერთობა და დაახლოება

უცხოტომელთან. მაგრამ მე მიჩვენა ღმერთმა, რომ არც ერთი ადამიანისთვის არ მეწოდებინა შებილწული ან უწმიდური. არამედ ყოველ ხალხში მისი მოშიში და სიმათლის მოქმედი სათნოა მისთვის“ (საქმ. 10:28, 35).

მარინა აღლექმაშვილი
უღე

11 თებერვალი – სნეულთა დღე

კათოლიკურმა სამყარომ 11 თებერვალს აღნიშნა სნეულთა XIV მსიფლიო დღე. მესხეთის კათოლიკეებიც ჩვენი ლოცვით შეგუერთდით მსოფლიოს ყველა კათოლიკეს და, მათ მსგავსად, დავადასტურეთ ჩვენი ვალდებულება სნეულთა წინაშე.

მამა იეჟი შიმეროვსკიმ, რომელიც თავდაუზოგავად ემსახურება არალის, უღეს, ბენარის, უნწისა და კურორტ აბასთუმნის მრევლს, სნეულთა დღისადმი მიძღვნილ წმიდა წირვაზე, მრავალ სნეულ ადამიანს სცხო წმიდა ზეთი და მათ გულში რწმენა, იმედი და სასოება ჩაუნერგა.

„ძვირფასო დანო და ძმანო, – ასე დაიწყო ქადაგება მამა იეჟიმ სნეულთა დღისადმი მიძღვნილ წირვაზე, – ჩვენ შეგვიძლია რწმენით გადავრჩეთ, გადავლახოთ ყოველგვარი ავადმყოფობა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ვიქნებით ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევარნი, თუ დავიცავთ უფლის მცნებებს, გავიზიარებთ ჩვენი დებისა და ძმების ჭირ-ვარამს, მათ სიხარულს და ვიცხოვრებთ ისე, როგორც ქრისტემ გვასწავლა: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მათ. 22:37-39).

გსარგებლობ შემთხვევით და მინდა, მადლობა გადავუხადო კამილიელებსა და ნეტარი ტერეზა კალკუტელის დებს, რომლებიც სიყვარულით ემსახურებიან სნეულ და დავრდომილ, ასევე, ფსიქიურად დაავადებულ ადამიანებს და ქრისტეს სახელით მრავალ კეთილ საქმეს აკეთებენ.

ციალა კაჭკაჭიშვილი-კალანდია
არალი

(რუბრიკა) სინოდი

მღვდლობა ხელდასხმულთა და მღვდლობა მორწმუნეთა

ყოველი კათოლიკე მოწოდებულია მონაწილეობა მიიღოს სინოდში, რაკი ნათლობა მას აკისრებს პასუხისმგებლობას ეკლესიის წინაშე. ნათლობით იგი ხდება „მღვდელი, წინასწარმეტყველი და მეფე“, უფლებამოსილი ლოცვაში, ევანგელიზაციასა და ეკლესიის მართვაში. ღმერთის ხალხი განსაზღვრავს საკუთარ თავს, როგორც „მღვდელთა სამეფოს“ (გამ. 1:6; 5:10; 20: 6), – „წმიდა სამღვდლოება... სამეფო სამღვდლოება“ (1პეტ 2:5-9). მორწმუნეთა ავტორიტეტი ხილულად ვლინდება სამრევლო კრებებზე და, განსაკუთრებით, სინოდზე. უნდა გაგებდეთ ლაპარაკი, წერა და მოქმედება ყველას საკეთილდღეოდ.

ნათლობის გამო ყოველი ქრისტიანი ვალდებულია, მიუძღვნას სიცოცხლე ღმერთს. ეს არის მიზანი ცხოვრებისა: იცხოვრო არა შენი წუთიერი სურვილებისა და კაპრიზების, არამედ ღმერთის ნების თანახმად. ამგვარად, ნათლობის საიდუმლოს მეშვეობით, ჩვენი არსებობა ხდება ღმერთისკენ მიმავალი ხიდი – ჩვენთვისაც და სხვებისთვისაც.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც სრულად მიეძღვნა ღმერთს, არის იესო. იგი იმდენად იყო აღვსილი სიყვარულითა და მხურვალე სურვილით, აღესრულებინა მამის ნება, რომ მისი უკანასკნელი შეძახილი იყო –

„აღსრულდა“! თავისი ცხოვრების სრული მიძღვნილ იესო გახდა მარადიული მღვდელმთავარი ყველა ადამიანისათვის (თუმცა იგი არ იყო სამღვდლო ოჯახიდან).

„გვეყავს ისეთი მღვდელმთავარი, რომელიც დიდების ტახტის მარჯვნივ დაჯდა ზეცაში... თუ დარჩებოდა მიწაზე, აღარ იქნებოდა მღვდელი“ (ებრ. 8: 1-4); *„მან თავის ხორცში ყოფნის დღეებში ძლიერი ღალატით და ცრემლით შესწირა ლოცვა და ვედრება... და იგი სრულქმნილი, საუკუნო ხსნის მიზეზი შეიქმნა ყველა მისი მორჩილისათვის და ღმრთის მიერ ეწოდა მას მღვდელმთავარი მელქიციდეკის წესით“* (ებრ. 5:7-10); *„მით უმეტეს, სისხლი ქრისტესი, რომელმაც საუკუნო სულით შესწირა ღმერთს თავისი უბიწო თავი, განწმენდს ჩვენს სინდისს...“* (ებრ. 9:14).

იესოში და ეკლესიაში ყოველი მონათლული ასევე ხდება მღვდელი სხვებისთვის. ამრიგად, ჩვენ პასუხისმგებელი ვართ სხვა ადამიანთა ხსნისათვის. ჩვენ ვმონაწილეობთ ეკლესიის ცხოვრებაში მათთან ერთად, ვინც ლოცულობს და ცდილობს, იცხოვროს ქრისტიანულად.

მაშ, რისთვის არის საჭირო მღვდელი, თუკი ჩვენ, ყველანი, მღვდლები ვართ? რატომ ნიშნავენ ეპისკოპოსები – მოციქულთა მემკვიდრენი ზოგიერთ ადამიანს ევქარისტის აღსასრულებლად, ცოდვათა მისატყვევებლად და მრევლის წინამძღვრად?

არის ორი, სხვადასხვა სახის მღვდლობა: ქრისტეს განუმეორებელი მღვდლობის მონაწილე ყველა მონათლული და მღვდელია ხელდასხმული, ვინც აღასრულებს საიდუმლოებებს საკრებულოში.

მღვდელი ხელდასხმულია არა საკუთარი თავისთვის, არამედ ეკლესიისთვის, რათა ემსახუროს საკრებულოს: მისი ხილული მსახურება მრევლისთვის უხილავად ვრცელდება მთელ კაცობრიობაზე. იგი არ აღავლენს წირვას თავისთვის და ვერ ეტყვის აღსარებას თავის თავს: იგი სწირავს ეკლესიისთვის და აღსარებისთვის მას სხვა მღვდელი სჭირდება. იგი საკრებულოს წევრია, მაგარამ, ამავე დროს, ქრისტე-მღვდლის ხილული სახეცაა. იგი აღავლენს წირვას მთელი ეკლესიის – ქრისტეს სხეულის – სახელით. *„ვინაიდან ყოველი მღვდელმთავარი, ადამიანთაგან ამორჩეული, ადამიანთათვის არის დაყენებული ღმრთის სამსახურში, რათა შესწიროს ძღვენი და მსხვერპლი ცოდვებისათვის“* (ებრ. 5:1-3). ქრისტე ერთხელ და სამუდამოდ მიეძღვნა მამას, ჯვარს ეცვა კაცთა ხსნისთვის, მაგრამ თაობიდან თაობამდე, მღვდელთა ხელით ეკლესია სწირავს მამას ამ საოცარ მსხვერპლს, რადგანაც ნათქვამია: *„ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონებლად“* (ლკ. 22:19).

ჩვენ ვიმეორებთ ყოველი წირვისას: *„ილოცეთ, ძმანო და დანო, რათა მსხვერპლშეწირვაი თქვენი და ჩემი სათნო იყოს წინაშე მამისა ღმრთისა ყოვლისშემძლისა. დაე, მიიღოს უფალმა მსხვერპლშეწირვაი ხელთაგან შენთა საქებრად და სადიდებლად სახელითა თვისისა და ყოვლისა მისისა წმიდისა ეკლესიისა“*.

სინოდი გვახსენებს, რომ ეპისკოპოსებმა და მღვდლებმა უნდა იმოქმედონ ჩვენთვის და ჩვენი სახელით, მაგრამ არა ჩვენს გარეშე. ჩვენ ქრისტეს სხეული ვართ. თუ ჩვენ ვართ ეკლესია, მონაწილეობა უნდა მივიღოთ მის გადაწყვეტილებებში. სული წმიდა ლაპარაკობს შენით: შენ წარმოადგენ ქრისტეს ოჯახში, მეგობრებთან, სამსახურში, იქ, სადაც ცხოვრობ. ბევრი ადამიანისათვის შენ ხარ ეკლესია: მათ არა აქვთ სხვა შესაძლებლობა, შეხვდნენ ჭეშმარიტ კათოლიკეს.

საქართველოს კათოლიკე, გახსოვდეს, რომ შენ პასუხისმგებელი ხარ შენი ეკლესიისათვის და საქართველოში მცხოვრები ყოველი ადამიანის გადარჩენისათვის!

(რუბრიკა) საქართველოს წმიდანები

6 მარტი

სარწმუნოებისათვის წამებული ცხრა კოლაელი ერმა

კოლა ეწოდება ერთ-ერთ ხეობას მდინარე მტკვრის სათავეში. ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ხანაში (დაახლოებით VI საუკუნეში) აქ მოსახლეობის უმეტესობა კერპთმსახური იყო, ქრისტიანები კი – მცირერიცხოვანნი.

კერპთმსახური მშობლების ბავშვები ხშირად ქრისტიანთა შვილებთან ერთად თამაშობდნენ; ისინი კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს და დამეგობრდნენ.

საღამოობით, როცა ხუცესი (მღვდელი) მწუხრის ლოცვის დაწყების ნიშნად ზარს შემოჰკრავდა, ქრისტიანი ყრმები ეკლესიისაკენ მიემუხრებოდნენ ხოლმე. წარმართთა შვილებმაც მოინდომეს რამდენჯერმე ეკლესიაში შესვლა, მაგრამ ქრისტიანები მათ იქ შესვლის ნებას არ აძლევდნენ და ეტყოდნენ ხოლმე: „თქვენ მეკერპეთა შვილები ხართ და ღმრთის სახლში თქვენი შემოსვლა არ შეიძლება“. გულნაკლული ბავშვები უკან ბრუნდებოდნენ, მაგრამ მომდევნო დღესაც, როდესაც მათი მეგობარი ქრისტიანი ბავშვები ეკლესიისაკენ წავიდოდნენ, მათთან ყოფნის მსურველი კერპთმსახურთა შვილები კვლავ ცდილობდნენ ეკლესიაში შეღწევას.

ერთხელ ეკლესიის კარებთან მომდგარ წარმართთა შვილებს ქრისტიანებმა უთხრეს: „თუ ჩვენთან, ეკლესიაში გნებავთ შემოსვლა, ირწმუნეთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მოინათლეთ მისი სახელით, ეზიარეთ მის წმიდა საიდუმლოთ, და შეგვიერთდით ჩვენ, ქრისტიანებსო“.

წარმართთა შვილებმა სიხარულით მიიღეს ქრისტიანთა სწავლება და გაქრისტიანების სურვილი განაცხადეს.

მაშინვე მოუწოდეს ხუცესსაც და გაემართნენ მდინარისაკენ. მოსანათლადად გამზადებული ყრმები ცხრანი იყვნენ, ზოგი შვიდი წლისა, ზოგი რვის ან ცხრისა. ნათლობას მთელი ხეობის ქრისტიანები დაესწრნენ.

რადგან დღისით კერპთმსახურთა შვილების მონათვლა ვერ გაბედეს, ნათლობა ღამე შეასრულეს, მით უფრო, რომ, გადმოცემით, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემაც ღამე ნათელილო იორდანეში.

ზამთარი იყო, სასტიკი სიცივე, როდესაც ჩავიდნენ ყრმანი მდინარეში. ხუცესმა ნათელსცა მათ, მამისა და ძისა და სული წმიდის სახელით, და როდესაც დასდებელთა გალობა დაიწყო, სასწაულებრივად გათბა მდინარის წყალი. ანგელოზებმა უხილავად შემოსეს ყრმები სპეტაკი სამოსლით, და ასე გაქრისტიანდნენ ისინი. ნათლის მამებად მათ ქრისტიანთა ბავშვები ჰყავდათ. ახალმონათლულმა ყრმებმა ქრისტიანებთან დარჩენა ამჯობინეს და მშობლებთან აღარ დაბრუნებულან.

როდესაც კერპთმსახურმა მშობლებმა შეიტყვეს მათი შვილების გაქრისტიანების ამბავი, ძალით წამოათრიეს შვილები შინისაკენ და შეუბრალებლად სცემეს.

როდესაც ვერ დაითანხმეს ბავშვები ქრისტიანობის უარყოფაზე, გამძვინვარებულმა მშობლებმა აცნობეს იმ კუთხის მთავარს, ნება დაერთო მათთვის საკუთარი შვილების ჩაქოლვისა.

მთავარმა დანიშნა დღე ბავშვების წამებისა. შეიკრიბა კერპთმსახურთა დიდი სიმრავლე; იმ ადგილას, სადაც ყრმებმა ნათელიდეს, გათხარეს ძალიან

ღრმა ორმო; მშობლებმა საკუთარი ხელით ჩაყარეს თავიანთი შვილები ამ ორმოში და პირველი ქვა თვითონვე დაჰკრეს.

ყრმებმა ბევრი არაფერი იცოდნენ და მხოლოდ ამას ამბობდნენ: „ჩვენ ქრისტიანები ვართ და მისთვის მოვკვდებით, ვის მიმართაც ნათელ-ვიღეთო“.

მშობლების შემდეგ იქ შეკრებილმა დიდძალმა ხალხმა ქვა დაუშინა ყრმებს, და მთლიანად ამოავსეს ქვა-ლორღით ის დიდი ორმო, რომელიც წმიდა მოწამეებს საფლავად ექცა.

წმიდა მოწამე ყრმები კი პირველ წამებულ ყრმებთან ერთად შეირაცხნენ, და გვირგვინშემოსილნი იხარებენ ცათა სასუფეველში.

ბედი ქართული ტექსტის მიხედვით გადმოსცა
გახუ მეგრელაურმა

(რუბრიკა) **საუბარი ეპისკოპოსთან**

მკითხველს უპასუხებს მეუფე ჯუზეპე პაზოტო

თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, მეუფე ჯუზეპე!

1. აი, დადგა ნაცრისყრის ოთხშაბათი, დაიწყო დიდი მარხვა. ლიტურგიული წლის ეს პერიოდი უმნიშვნელოვანესი დროა, როცა ქრისტიანები სულითა და ხორციით განწმენდილნი უნდა შეეგებონ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, აღდგომის უწმიდეს დღესასწაულს. ღოცვასთან ერთად, ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მარხვას, როგორც მორწმუნის სულის განმწმედელსა და სხეულის გამაკაჟებელ რიტუალს. იოანე ოქროპირი გვაუწყებს, რომ მარხვა „ყვის კაცი მსგავს ანგელოზთა. მარხვამან განწმიდნა და უბიწო ყვნა ყოველნი წმიდანი“. მაგრამ იგი მარხვაში გულისხმობდა არა მხოლოდ საჭმელსა და სასმელზე უარის თქმას, არამედ „რაითა დავიმარხნეთ თაენი ჩუენნი ყოვლისაგან ბოროტისა...“

ბვირფასო მეუფევ, გთხოვთ, განგვიმარტოთ, რას გულისხმობდა წმიდა მამა „ყოველ ბოროტში“, რომლისაგან თავის დაცვაც ევალება ქრისტიანს? („მარხვა“ ხომ სწორედ დაცვას, შენახვას ნიშნავს!).

რა არის მარხვის ჭეშმარიტი არსი?

2. ლათინური წესის მიმდევარმა ყოველმა მორწმუნე კათოლიკემ იცის, რომ დიდი მარხვა იწყება ნაცრისყრის ოთხშაბათიდან (ამ დღეს მძიმე მარხვაა დაწესებული). გთხოვთ, გვიპასუხოთ საიდან იღებს სათავეს და რას გულისხმობს ოთხშაბათ დღეს თავზე ნაცრის დაყრის სიმბოლიკა?

რატომ არის დაწესებული ამ დღეს მძიმე მარხვა?

ვერიკო
თბილისი

პატივცემულო ქალბატონო ვერიკო,

თქვენს წერილში კარგად ჩანს მარხვის მნიშვნელობის ღრმად გაგების სურვილი. კმაყოფილი ვარ, რომ მაშინ, როცა იწყება მარხვის წმიდა დრო, საშუალებას მაძლევთ, რათა ყველა მორწმუნეს გავუზიარო რამდენიმე საფუძვლიანი მოსაზრება:

ეკლესიის კანონი ამტკიცებს: „ღმრთაებრივი კანონით, ყველა მორწმუნე ვაღდეგებულა იმარხულოს, ყველამ თავისი შეხედულებისამებრ; იმისათვის, რათა მარხვის მეშვეობით ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულნი, დადგენილია სამარხვო დღეები...“ ესე იგი ეს ღმრთის კანონია, რომ ყოველმა ადამიანმა

თავისი შეხედულებისამებრ უნდა იმარხულოს. არსებობს აგრეთვე საერთო მარხვის პერიოდები მთელი ეკლესიისთვის.

ბიბლიიდან ჩანს, რომ მარხვას აქვს რამდენიმე მიზანი; მაგალითად: მარხვა ნიადაგს ამზადებს ღმერთთან შესახვედრად, აძლიერებს ღოცვას, ძალას იძლევა ცოდვის წინააღმდეგ ბრძოლისას, ამტკიცებს ღმრთის რწმენას, ყველა სიკეთისა და სიხარულის წყაროს... აგრეთვე მარხვის გამოცდილებაში არის თვითკმაყოფილების საფრთხე, ესე იგი, რაკი ვმარხულობთ, თავის ვგრძნობთ ყოჩაღად და, აქედან გამომდინარე, ღმრთისაგან გარკვეულ უფლებებს ვითხოვთ. უფრო მეტიც – ხშირად ეს არის ფორმალიზმი, რაც ნიშნავს რაღაცის გაკეთებას აზრის მნიშვნელობის გაგების გარეშე; და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ არსებობს კანონი. აი რას ამბობს ესაია წინასწარმეტყველი ყალბ მარხვაზე: *„განა ეს მარხვა არაა, რომელიც ამოვარჩიე, გახსენი საბელნი ბოროტეულთა, შეხსენი ბორკილნი უღლისა, და გაუშვი ჩაგრულნი თავისუფლად და ყველა უღელი გაწყვიტეთ. განა იმისათვის არ არის, რომ გაუნაწილო შენი პური მშვიერს და ღარიბნი და უსახლკარონი შემოიყვანო სახლში? როდესაც დაინახავ შიშველს, შემოსე იგი და შენს სისხლსა და ხორცს ნუ უგულვებელჰყოფ“* (ეს. 58:6-7).

მარხვის შესახებ ეკლესიაში და მისი გამოცდილება ყოველთვის სხვადასხვა ფორმით იყო წარმოდგენილი ეკლესიის ცხოვრებაში. საუკუნეების მანძილზე უფრო მტკიცდება ტრადიცია, რასაც ქრისტიანები ხელმომჭირნებობენ, რათა შემდგომ ღარიბებს დაეხმარონ. *„როგორი წმიდა იქნებოდა მარხვა, რომ იმას, რასაც ხარჯავდი შენს სუფრაზე, ღარიბებს უგზავნიდე!“*, – ამბობს წმიდა ამბროსი.

ეკლესია მოითხოვს, რათა საკვები გემრიელი იყოს, მაშინ მათზე უარის თქმას აზრი ექნება, და ეს ყველაფერი უნდა იყოს ქრისტესთან თანაზიარებაში, ამ ყველაფერს უძღვება ღოცვა და ქველმოქმედება.

კონკრეტულად, რომელ მითითებებს მივყევთ, რათა კარგად განვიცადოთ მომავალი მარხვა?

თავდაპირველად უნდა ვიცოდეთ, რომ ვიმყოფებით წმიდა და კურთხეულ დროში. ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა იპოვოს მარხვის მისეული ფორმა, ეს შეიძლება მან საიდუმლოდ შეინახოს, ან მოძღვარს გაუზიაროს. *„ხოლო შენ, როცა მარხულობ, იცხე თავზე და დაიბანე პირი, რათა ადამიანებს კი არ ეჩვენო მარხულად, არამედ დაფარულში მყოფ შენს მამას. და შენი მამა, რომელიც ხელავს დაფარულში, ცხადად მოგიზღავს“*.

ის, ვინც ეწევა, რატომ არ ამბობს უარს სიგარეტზე, ან არ სურს ნაკლები მოწიოს? ან ვისაც მოსწონს ღვინო, რატომ არ ამბობს უარს მასზე? უარი უნდა ვთქვათ იმაზე, რაც მოგვწონს. მაგალითად, თუ მე არ ვჭამ ტკბილეულს, ამ შემთხვევაში მარხვის პერიოდში არ ვმარხულობ, რადგან საერთოდ არ ვეტანები მას, მაღაზიაში იყიდება სამარხო მაიონეზი... რადგან მე მომწონს მაიონეზი, შევჭამ მას, რადგან სამარხვოა. ასეთ შემთხვევაშიც მე არ ვმარხულობ...

დაბოლოს არის რამდენიმე დავალება, რომელიც ერთად უნდა შევასრულოთ:

რაც შეეხება მარხვას, ჩვენს ეკლესიაში გადაწყდა: ნაცრისყრის ოთხშაბათს და წითელ პარასკევს იქნება მკაცრი მარხვა (მხოლოდ პური და წყალი).

ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს სადილი დღეში ერთხელ, ხორცის გარეშე (შეიძლება აირჩიოთ და მთელი მარხვის განმავლობაში ისადილოთ დღეში ერთხელ).

სხვა დანარჩენ დღეებში შერეული სადილი, უარის თქმა იმაზე, რაც მოგვწონს (ყოველი ადამიანი ირჩევს რომელიმეს და საიდუმლოდ ინახავს).

თქვენ ასევე მეკითხებით ნაცრისყრის ოთხშაბათის მნიშვნელობაზე. დიას, იმ დღეს ყველა კათოლიკე თავს ხრის და ნაცარს იღებს, თან გალობს მონანიების ფსალმუნს.

პირველ რიგში, ნაცარი ადამიანის სისუსტის ნიშანია. აბრაამმა უთხრა ღმერთს: „აჰ, გავბედე ლაპარაკი ჩემს ბატონთან მე, მტვერმა და ნაცარმა“; იობი, იცნობს რა თავისი არსებობის საზღვრებს, თავმდაბლად ამტკიცებს: „მისროლა ლაფში და დავემსგავსე მტვერსა და ნაცარს“ (იობ. 30:19); ბიბლიის სხვა თავებში შეგვიძლია წავიკითხოთ, თუ როგორ მიუთითებს ნაცარი ადამიანის სისუსტეზე (სიბრძ. 2:3; სირ. 10:9; 17:27).

ნაცარი აგრეთვე ადამიანის მონანიების და ახალი გზის დაწყების ნიშანია. განსაკუთრებით ცნობილია ტექსტი ბიბლიიდან ნინეველების მოქცევის შესახებ იონას ქადაგების მეშვეობით: „იწამეს ნინეველებმა ღმერთი, გამოაცხადეს მარხვა და დიდიანპატარიანად ჯვალთი შეიმოსნენ. შეიტყო ეს ამბავი ნინევეს მეფემ, ტახტიდან ჩამოვიდა, შემოიძარცვა სამოსელი, ჯვალს ჩაიცვა და ნაცარში ჩაჯდა“ (იონა 3:5-6).

გისურვებთ დიდმარხვის კარგ განცდას.

(რუბრიკა) **სოციალური პრობლემები**

მზის იმედად დარჩენილი ქალაქი

*თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული ფიქრით დამთოვა,
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა.*

გალაკტიონი

პირველი თოვლი ბაგრატის ტაძარსა და მწვანეყვავილაზე დაცემულმა ფიფქებმა მიულოცეს ქუთაისს. მერე, თითქოს ზეცას ბუმბულის საბანი შემოერღვაო, უხვად ჩამობარდნა და მანამ სული არ მოითქვა, სანამ ბევრის მნახველმა, შეფიქრიანებულმა ქუთაისელებმა ცას არ ახედეს და გაყინული თითებით პირჯვარი არ გადაიწერეს.

უწყვეტი თოვა მხოლოდ პატარებს ახარებდათ, თუმცა უფროსების შიშით ისინიც სიხარულის დამაღვას ცდილობდნენ.

განათლების სამინისტრომ, პირველ დღეებში, სასწავლო პროცესი იმ სკოლებს შეუწყვიტა გაზით რომ ათბობდნენ, შემდეგ კი – ყველას. თუმცა, გაყინული სკოლიდან დაბრუნებული გათოშილი ბავშვების უმეტესობას სითბო და შუქი არც შინ ელოდათ. ქუთაისში საწვავი მხოლოდ ტელევიზიით „დარიგდა“, მოსახლეობასაც ტელევიზიით „დაეხმარნენ“ და სახურავებიც ტელევიზიით „გადათოვლეს“.

არადა, ჩვენ ხომ ვიცით, ჩემო ქალაქო და ქალაქელებო, როგორ გვიჭირდა, არც გაზი იყო და არც დენი. სადღაც კი გაიგონებდი, ვიდაცას 10 ლიტრი ნავთით დაეხმარნენო, მაგრამ ამ ზღვა ხალხში, ეს ისეთი მცირე ნაპერწკალი იყო, აღის გაეღვებოდაც არ ჰყოფნიდა.

ხალხმა წამლისთვის გადადებული ფულით თუნუქის ღუმელები შეიძინა. მერე შეშაო?! – იკითხავთ. უფასო შეშა და პური თბილისში რიგდებოდა. ჩვენ კი, პირველ დღეებში, ფასიანი პურის რიგიც გვენატრებოდა, ღუმელებში ნედლი შეშა ხრჩოლავდა, სახურავებიდან თოვლმა ავად დაიწყო გადმოზნექა, სახლის

სახურავები აჭრიალდნენ – მოგვეშველეთო; 1 კვ. მეტრის გადმოთოვლა ერთი ლარი გახდა, „მოთოვლავები“ კი – სანთლით საძებარნი.

ყველასგან მიტოვებული, მხოლოდ საკუთარი თავის იმედად დარჩენილი ქუთაისელები სახლის სახურავებზე ავიდნენ და ახლა იქ გააგრძელეს უპატრონო ქალაქზე დაბლა დაწეებული საუბარი.

ყველამ ესეც ვერ შეძლო და ტრაგედიაც დატრიალდა, ჩამონგრეულმა ჭერმა ადამიანის სიცოცხლეს იმსხვერპლა...

უიმედოდ დამდებოდა და უიმედოდ თენდებოდა. ფრინველის გრიპის შიშით გაწყვებილი მამლებიც აღარსად იყვნენ, რომ ქუთაისელების უკანასკნელი იმედი – მზე – ყვილით მაინც ამოეყვანათ.

ნინო ჟღენტო

უამობა - დედის განაჩენი

ბავშვი სიყვარულის ნაყოფია, სიყვარულის ხემ კი – ქალისა და მამაკაცის კავშირის შეკვრით – ოჯახში უნდა იხაროს. ოჯახი პატარა ეკლესიაა, სიცოცხლისა და სიყვარულის აკვანი, ბავშვები კი ჩვენი მომავალი საზოგადოებაა, რომლის ჰუმანურად ჩამოყალიბება ჩვენი მოვალეობაა. ბავშვს ნორმალურ პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის სრული ოჯახი, ანუ დედა და მამა, და ორმხრივი სიყვარულის შეგრძნება სჭირდება. დმერთმა ადამიანი არ შექმნა მარტოხელა, არამედ დასაბამიდან „შექმნა ისინი მამაკაცად და დედაკაცად“, და მათი კავშირი გახდა პიროვნებათა ურთიერთობის პირველი ფორმა. სიყვარული, ოჯახი, სიცოცხლე, ბავშვი – ეს სრულყოფილი ფორმაა, რომელიც ღმრთის ჩანაფიქრს ახორციელებს.

საკითხი, რომელსაც შევეხებით, საკამათოა და აზრთა მკვეთრ სხვადასხვაობას იწვევს. გვინდა, თქვენი ყურადღება მარტოხელა დედებს მივაპყროთ, რომლებიც ამ მდგომარეობაში სხვადასხვა მიზეზის გამო აღმოჩნდნენ. ზოგიერთს არ გაუმართლა, რადგან თავისი რჩეულის ნამდვილი სახე დროულად ვერ დაინახა და გული გაუტყდა, ზოგიც გამოუცდელიობისა და ოჯახური ურთიერთობების არცოდნის გამო გაექცა ყოველდღიური წვრილმანი ოჯახური წინააღმდეგობების მოთმინებით გადალახვას, ზოგიც, ოჯახის შექმნის იმედის გადაწურვით შემფოთებული, მარტოდ დარჩენის შიშით გაბედულ ნაბიჯს დგამს და თავისი პრობლემის მოსაგვარებლად ბავშვს აჩენს, რომელსაც საზოგადოება დაბადებიდანვე უკანონოდ გაჩენილის იარლიყს აწებებს. ბავშვის გაჩენა, ეს უდავოდ სიცოცხლის გადაცემის უპირველესი საშუალებაა, მშვენიერი და საოცარი მოვლენა, მაგრამ ის შეიძლება ემსახურებოდეს ეგოისტურ მიზნებს. მარტობა ერთ-ერთი აქტუალური სოციალური და რელიგიური პრობლემაა. დღევანდელმა სოციალურმა ფონმა თუ სხვა გარემოებებმა განაპირობეს მარტოხელა ქალებისა და მამაკაცების სიმრავლე; სურვილის შემთხვევაში, დაოჯახების შანსი მამაკაცებს მეტი აქვთ, ქალებისათვის კი, ასაკის მატებასთან ერთად, ოჯახის შექმნის შესაძლებლობა კლებულობს. მაშ, როგორ მოიქცეს ქალი, თუკი მისი ცხოვრების პერსპექტივა მარტობაა? შეეკედლოს ახლობლებს თუ მიჰყვეს მეგობართა და ახლობელთა კეთილ რჩევას (დღეს რომ უმრავლესობა იძლევა, რაც არცთუ დიდი ხნის წინ მიუღებელი იყო) და ბავშვი „ვინმესგან“ გააჩინოს? დიახ, შესაძლოა დედას მარტობის ტვირთს ეს ნაწილობრივ ამსუბუქებს, მაგრამ თუ ვიკითხავთ, რა სურს თავად ბავშვს, ვინ გვიპასუხებს? რა არის საჭირო ბავშვთა ჯანსაღი ფსიქოლოგიური და სულიერი განვითარებისთვის?

მაგალითისთვის ერთი ამბავი: ქალმა, რომელსაც ოჯახის შექმნა ბავშვის კანონიერად გაჩენის მიზნით უნდოდა მხოლოდ, ქმართან ურთიერთობა მაშინვე დასრულდა, როგორც კი „მიზანი“ მიღწეულ იქნა. მაგრამ იგი ჯერ კიდევ

ორსულად იყო, დედა რომ გარდაეცვალა და თავს დამტყდარ უბედურებასთან მარტოდმარტო აღმოჩნდა. მალე მას ბიჭი შეეძინა და ბავშვზე ზრუნვა მისი უმნიშვნელოვანესი საქმე გახდა. დედის მოვალეობებს თავს შესანიშნავად ართმევდა და თავისი გადაწყვეტილებითაც კმაყოფილი იყო. ბიჭუნა წამოიზარდა, სხვა ბავშვებთან ურთიერთობა დაიწყო და ერთი კითხვა აიკვირებოდა: „რატომ ჰყავთ სხვა ბავშვებს მამა, მე კი – არა? მეც მინდა, მამა მყავდეს!“ დედა ბავშვის დამშვიდებას ტყუილით შეეცადა, უთხრა, რომ მამა საზღვარგარეთ იყო და მალე ჩამოვიდოდა. დრო გადიოდა, ბავშვი სულ მამაზე საუბარს ცდილობდა, ელოდებოდა და სიზმარშიც ნახულობდა, მაგრამ იგი არ ჩანდა. ბიჭუნა გაღიზიანდა და სხვა ბავშვებთან თამაშის დროს აგრესიას ავლენდა. დედა იძულებული გახდა, ბავშვის მამას დაკავშირებოდა და ეთხოვა, დაერეკა შვილისთვის, რომელიც არსოდეს ენახა. სანატრელი ზარის შემდეგ, ბავშვი კიდევ უფრო აენტო, ისევ უნდოდა მამასთან საუბარი, მაგრამ იგრძნო, რომ მისი არსებობა მამას ისევ დაავიწყდა. დედა მიხვდა, რომ ბავშვს მამასთან ურთიერთობა და მისი სიყვარული ძალიან სჭირდებოდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: მას უკვე სხვასთან შეექმნა ოჯახი. რამდენიმე წლის შემდეგ მან სხვა რეალობაც დაინახა: ის პაწაწინა ბიჭუნა, რომელიც დედას იყო მიკედლებული, თანდათან ბავშვობის ასაკიდან გამოდიოდა და დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ძიებას იწყებდა. ვინ იცის, რა ელოდება დედას, იქნებ ისევ მარტობა?

სიცოცხლის გადაცემა – ეს არა მარტო ბიოლოგიური მომენტი, არამედ საკუთარ თავზე აღზრდის პასუხისმგებლობის აღებაა და, ამ შემთხვევაში, სწორედ აღზრდაა ნამდვილი შექმნა, უფრო მნიშვნელოვანია – სიყვარულში აღზრდა, რომელიც მშობლებიდან უნდა მომდინარეობდეს. ვინ იცის, ბიჭუნა, ვისთვისაც ოჯახი მხოლოდ დედასთან ასოცირდება, შეძლებს თუ არა საკუთარი სრულფასოვანი ოჯახის შექმნას და შვილებზე იმ სიყვარულის გადაცემას, რაც თავად მას არ მიუღია?

ნანა ნებიერიძე

(რუბრიკა) **ეკუმენური გვერდი**

ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის

წელს ქრისტიანთა ერთობისადმი მიძღვნილი ტრადიციული ლოცვა, სუბიექტურ გარემოებათა გამო, ოდნავი დაგვიანებით, 25 იანვრის ნაცვლად, 3 თებერვალს შედგა და თან წინასწარ დაგეგმილი წმიდა გიორგის სომხური კათედრალის მაგივრად, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ცენტრალურ სამლოცველო სახლში ჩატარდა. სხვა მხრივ, ყველაფერი ჩვეული ტრადიციისამებრ განვითარდა.

ლოცვაში მონაწილეობდნენ ხუთი სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენლები და, როგორც წესი, ოთხი კონფესია ოფიციალურად და ერთიც (ყველაზე მრავალრიცხოვანი) არაოფიციალურად იღებდა მონაწილეობას; ესწრებოდნენ, ასევე, რელიგიით დაინტერესებული არასამთავრობო და დაუინტერესებელი სამთავრობო პირები და კიდევ, რამდენიმე გაურკვეველი აღმსარებლობის პერსპექტიული მორწმუნე ათეისტი. ყოველი შეხვედრის დამამშვენებელი – მედიაშუშაკები ტელეკომპანია „მზის“ მობილური ჯგუფით იყო წარმოდგენილი.

წლევანდელი საყოველთაო ლოცვის ტექსტი ირლანდიელმა კათოლიკე მღვდელმსახურებმა მოამზადეს.

ქრისტიანთა ერთობისადმი მიძღვნილი ტრადიციული ლოცვა, რომლის დევიზი გახლდათ ფრაზა მათეს სახარებიდან: „სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით“, საქართველოში ვატიკანიდან ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული ქრისტიანთა ერთობის ხელშეწყობის პაპის საბჭოს თავმჯდომარის, კარდინალ ვალტერ კასპერის უშუალო მონაწილეობით უნდა წარმართულიყო. მაგრამ დიპლომატიური პოლიტიკის მუშაკებმა ვიზიტის ოფიციალური ნაწილი ისე დაგეგმეს, რომ კარდინალს „ვიზიტი ვიზიტში ჰქონდა ჩასმული“ და ამიტომ ერთობლივ ლოცვაში მონაწილეობა ვერ მიიღო, მაგრამ კარდინალის ლოცვა-კურთხევა და მისალმების ტექსტი ამიერკავკასიის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორმა, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ წაუკითხა მლოცვეებს. მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა სალამს უთვლიდა საქართველოს სხვადასხვა კონფესიის მორწმუნე ქრისტიანებს და შეახსენებდა სახარებაში განცხადებულ მაცხოვრის ნებას, რომ „სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით“ (ხოლო ამ ეკუმენურ ლოცვაზე ხუთი კონფესიის ქრისტიანები იყვნენ შეკრებილნი), „მეც იქა ვარ, მათ შორის“ (მათ. 18:18-20).

ოთხმა ეპისკოპოსმა წაიკითხა წმიდა წერილიდან მცირე საკითხავები, ხოლო თეოლოგიის ინსტიტუტ „საბას“ ინტერკონფესიური გუნდის მიერ შესრულებული საგალობლის შემდეგ, წაიკითხულ იქნა ნიკეა-კონსტანტინეპოლის (აღმოსავლური წესის) მრწამსი და „მამაო ჩვენო“.

საყოველთაო ლოცვის ყველა მონაწილემ ერთმანეთს გულმხურვალედ უსურვა მშვიდობა. ეს ტრადიცია ქრისტიანებში პირველი საუკუნიდან იღებს დასაბამს და კათოლიკურ ლიტურგიაში დღემდე სრულდება.

მთელი მსახურების მანძილზე გალობაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ლუთერული, სომხური, ბაპტისტური, ასირიულ-ქალდეური, კათოლიკე ეკლესიის მგალობელთა გუნდები, ხოლო საკითხავებსა და ლოცვებს მორიგეობით კითხულობდნენ სხვადასხვა აღმსარებლობის მორწმუნეები, როგორც მოზარდები, ასევე ჭარმაგნი.

ლოცვაში მონაწილეობდნენ საქართველოში აკრედიტებული პოლონეთისა და გერმანიის სრულუფლებიანი ელჩები.

ერთიანობის ლოცვა დასრულდა უფლისადმი ვედრებით, რომელიც, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ქსენოფობიის წინააღმდეგ იყო მიმართული:

გახსენი ჩვენი გულის კარი, რათა შენმა სიყვარულმა დაისადგუროს ჩვენს გულებში, გახსენი ჩვენი მკლავები, რომ გულში ჩავიკრათ სხვები, გახსენი ჩვენი გულისკარი უცხოთათვის, რათა ჩვენი გულისკარი ერთთავად ღია იყოს შენთვის.

იმედის მომცემი ამ ვედრებით დასრულდა ერთიანობისადმი მიძღვნილი ლოცვა და მასში მონაწილე 500-მდე მლოცველს, აღმსარებლობის მიუხედავად, დიდხანს ემასხოვრება ქრისტიანთა ერთად ყოფნისას განცდილი სიხარული.

ნუგზარ ბარდაველიძე

(რუბრიკა) **ინტერვიუ**

„ჩემ გულს ვუტოვებ საქართველოს!“

რამდენიმე თვის წინ თბილისის წმ. მარიამის ზეცად აღყვანების კათოლიკურ საკათედრო ტაძარში ჩემი ყურადღება მიიქცია სამმა ადამიანმა: განსაკუთრებული სიღამაზით გამორჩეულმა ქალბატონმა და ორმა დარბაისელმა მამაკაცმა. ეს იყო დღე, როდესაც კავკასიის ყველა

სამლოცველოში (სხვადასხვა დენომინაციის – ქრისტიანული, მუსლიმური, იუდაური) ლოცულობდნენ მშვიდობისათვის მშობლიურ მიწაზე. წმიდა წირვის დროს ტრიომ, რომელიც ზემოხსენებული სამი შესანიშნავი პიროვნებისაგან შედგებოდა, შეასრულა რამდენიმე ლიტურგიული ნაწარმოები. მათმა ოსტატობამ მაფიქრებინა, მიმეწვია უცნობი მუსიკოსები „კავკასიურ სახლში“, სადაც იმ დღეს მღეროდა კაპელა „ალილუია“. გაცემული დავრჩი, როდესაც ჩვენი სტუმრების ვინაობა შევიტყვე: ქალბატონი – არც მეტი და არც ნაკლები, „ნამდვილი“ პრინცესა გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი აღმოჩნდა; კლარნეტზე უკრავდა მთელ მსოფლიოში ცნობილი საბავშვო კვების ფირმის – „ჰიპპ“-ის მფლობელი – კლაუს ჰიპი და გამორჩეული ქართველი, გერმანიაში მოღვაწე მუსიკოსი ვია ქობულაშვილი.

მსოფლიოში ყველა დედისთვის სიტყვა „ჰიპპ“-ი ახლობელი და ნაცნობია, ვინაიდან ის დაკავშირებულია მათი შვილების სიმშვიდესა და ჯანმრთელობასთან. როდესაც ახალგაზრდა დედას არ შეუძლია, გამოკვებოს შვილი საკუთარი რძით, ბავარიიდან დასახმარებლად იგზავნება პროდუქტები: რძე და ფაფა, წვენი და ხილის პიურე, ფერადი და მხიარული ემბლემით – „ჰიპპ“, რომლის ავტორია ამერიკელი მხატვარი სიცილიიდან, ფრანჩესკო ჩანინოტო. ბავშვთა კვების ამ ფირმის დაარსებას წინ უსწრებდა ჰიპპების ოჯახის ისტორია.

კლაუს ჰიპი, რუსეთის გერმანული ორგანიზაციების თავჯდომარე, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, დაიბადა 1938 წელს მიუნხენში. ის წელიწადში ორჯერ ჩამოდის თბილისში და ლითოგრაფიის ლექციების კურსს უკითხავს ქართველ სტუდენტებს. მისი ბოლო ღონისძიება იყო სამხატვრო აკადემიაში სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენის ორგანიზება. თითოეული ნახატის კომპოზიცია წარმოადგენდა „მამაო ჩვენო“-დან აღებულ ფრაგმენტებს.

როდესაც კლაუს ჰიპი თბილისში იმყოფება, კვირაობით მარიამის ზეცადაღყვანების საკათედრალო ტაძარში წმინდა წირვას ესწრება. მიუხედავად იმისა, რომ იგი ბავარიელია, მაინც მიაჩნია, რომ მისი გული მხოლოდ საქართველოში ფეთქავს; აქ ხომ ისეთივე ბუმბერაზი და გასაოცარი მთებია, როგორც დედამისის სამშობლოში – შვეიცარიაში. სწორედ ამიტომ, როდესაც ბავარიის ტელევიზიამ გადაწყვიტა, გადაეღო ფილმი კლაუს ჰიპზე, მან რეჟისორი დაარწმუნა, რომ მისი სრულყოფილი პორტრეტის შექმნა მხოლოდ საქართველოში იყო შესაძლებელი.

კლაუსი საქართველოს ხშირი სტუმარია. ახლო წარსულში ის იყო სტუმართმოყვარე მასპინძელი მომლოცველობაში მყოფი 80 ახალგაზრდისა საქართველოდან. ბუნებრივია, დავინტერესდი მისი ბიოგრაფიით, ფირმის დაარსების ისტორიითაც და გავესაუბრე ჩვენს საპატიო სტუმრებს. რამდენიმე ინფორმაცია კი გერმანიაში ყოფნისას მოვიპოვე.

ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა დედისთვის, მნიშვნელოვანი იყო, გამეცნო ის პიროვნება, რომლის ფირმის მიერ დამზადებული ბავშვთა კვების პროდუქტებით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ახალშობილი იკვებება.

ყველაფერი აქედან დაიწყო, – მითხრა კლაუს ჰიპმა, და არც ისე დიდ, თეთრ სახლზე მიმითითა, სადაც უბედესი კონსტრუქციის დაზგა იდგა, მის ახლოს კი – პალიტრა, სადაც თავისუფალ დროს კლაუს ჰიპი ხატავდა. ბაბუაჩემს რვა შვილი ჰყავდა. ისინი ისეთ სილატაკეში ცხოვრობდნენ, რომ ერთხელ, როდესაც საჭმელი არაფერი ჰქონდათ, მოიფიქრა, რქეში ჩაეყარა გატარებული ჩირი და ამით გამოეკვება ბავშვები. ცდამ გაუმართლა. შემდგომში

მამაჩემმა ბავშვთა კვების წარმოების გაფართოება მოახერხა, მე კი ვაგრძელებ ოჯახის საქმიანობას.

თქვენ მთელი ცხოვრება მიუძღვნით მილიონობით ბავშვთა ჯანსაღ კვებაზე ზრუნვას...

ძალიან მიყვარს ბავშვები, პირადად მე მყავს ხუთი შვილი და ოთხი შვილიშვილის ბაბუა ვარ. ყოველთვის მინდოდა, თანადგომა გამეწია ახალგაზრდა დედებისათვის, მაგრამ ბიოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი კვება ესაჭიროება არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ მოზარდებსა და ხანდაზმულებსაც. მაგალითად, რომის პაპს, ბენედიქტე XVI-ს ძალიან მოსწონს ჩვენი წარმოების სურსათი და „ჰიპის“ პროდუქციით ყოველთვის სარგებლობდა ბავარიაში ცხოვრებისას.

რას უსურვებდა კლაუს ჰიპი ქართველ დედებს?

მინდა, ვუსურვო ყველა დედას საქართველოში ბუნებრივი – დედის რძით – გაზარდონ შვილები. დედის რძე უნიკალურია. ჩვენ ვქმნით პროდუქციას, რომელიც თავისი ფორმულით მაქსიმალურად უახლოვდება დედის რძეს, მაგრამ აბსოლუტური ფორმულის შექმნა ყოველად შეუძლებელია.

გავესაუბრეთ აგრეთვე პრინცესა გაბრიელა ფონ ჰაბსბურგს, – დავინტერესდი, რა აკავშირებს მას საქართველოსთან და რითია განპირობებული მისი ხშირი სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში

საქართველოში წელიწადში ორჯერ ჩამოვდივართ და სამხატვრო აკადემიაში მასტერ-კლასებს ვატარებთ. საქართველოსთან მე მაკავშირებს აგრეთვე პროექტი, რომელზეც პრეზიდენტის მოწვევით ვმუშაობ, როგორც არქიტექტორი.

პრინცესა ქმნის რევოლუციის სიმბოლოს – ქვის ვარდს. ეს მემორიალი პრაქტიკულად იქნება გამოყენებული – მის ირგვლივ დამონტაჟდება დეკორატიული ქვის საჯდომები, ყოველ ქვაზე მიუთითებენ ადგილს, საიდანაც ის ჩამოიტანეს და მეცენატის სახელს, ვისი ინიციატივითაც ეს მოხერხდა. ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, სად დაიდგება ეს კომპოზიცია.

როგორც დაურწმუნდით, თქვენ აგრეთვე მუსიკოსიც ბრძანდებით და გარკვეული მიღწევებიც გაქვთ ამ სფეროში.

მე ძალიან მიყვარს მუსიკა და მაღლობელი ვარ ჩემი მშობლებისა, რადგანაც მათ მასწავლეს ხელოვნების პატივისცემა. სიმართლე გითხრათ, ეს იყო ჰაბსბურგების ოჯახის ტრადიციების გაგრძელება. მუსიკის სიყვარულმა გერმანიაში დამაახლოვა შესანიშნავ ქართველ მუსიკოსს გია ქობულაშვილს და კლაუს ჰიპს.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, თქვენ, რათა მისაღმებოდით კელნში მიმავალ ახალგაზრდა ქართველ კათოლიკე მომლოცველებს, იყავით ჰერენრასტში, სადაც მდებარეობს უძველესი ეკლესია, რომელსაც რომის პაპის, ბენედიქტე XVI-ის დავალებით უვლის კლაუს ჰიპი.

ნამდვილად გასაოცარი იყო კელნში მიმავალი ახალგაზრდების ხილვა, მათში მე დავინახე დიდი ერთუზიანობა; დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდობამ მხოლოდ იმიტომ გადალახა ის რთული გზა, რომ გულში ჰქონდათ პაპთან შეხვედრის დიდი იმედი და სიხარული. ჩემი სამი შვილიც დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა კელნიდან ბავარიაში.

როგორც ცნობილია, თქვენი მეგობრობა კათოლიკე ეკლესიასთან საქართველოში დაიწყო ბავარიაში შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე.

როგორც კათოლიკემ, საქართველოში ჩამოსვლის პირველსავე დღეს დავიწყე კათოლიკური ეკლესიის ძებნა. ასე აღემოჩნდა მარიამის ზეცადაყვანების საკათედრალო ტაძარში წმიდა წირვაზე. ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო მონსინორ ჯუზეპე პაზოტოს გაცნობა. მასთან ურთიერთობისას მივხვდი, რომ კათოლიკურ ეკლესიას საქართველოს ჰყავს ნამდვილი და ძლიერი ლიდერი, რომელსაც ეკლესია მიჰყავს ჭეშმარიტი გზით. დარწმუნებული ვარ, რომ მისი ხელმძღვანელობით კათოლიკე ეკლესია საქართველოში იქნება ძლიერი, ეყოლება მორწმუნე მრევლი, რომელიც გაიზრდება სულიერად. ალბათ, იცით, რომ ბავარიაში მოსახლეობის უმეტესობა კათოლიკეა, მაგრამ იქაც არ მინახავს, რომ ხალხი ასე ხშირად და გულწრფელად ლოცულობდეს სავარდით. ვფიქრობ, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

რა შეგიძლიათ გვითხრათ საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ?

მთელი გულით მივესალმები დემოკრატიულ ცვლილებებს თქვენს ქვეყანაში. ძალიან რთულია, როდესაც თავიდან უნდა ააშენო დემოკრატია, მაგრამ, როგორც ვხედავ, თქვენს პრეზიდენტს ხელეწიფება ამ დიდი ამოცანის გადაჭრა. თუ ადგილობრივი მოსახლეობისათვის ცვლილებები არცთუ ისე შესამჩნევია, სამაგიეროდ, უცხო ქვეყნიდან ჩამოსულები ამ პროგრესს ნათლად ხედავენ.

ვიქტორია მაქსოვეი

(რუბრიკა) ინფორმაცია

პლაკატების კონფლიქტი ანუ ესკალაცია გრძელდება

საპროტესტო ტალღა, რომელიც მოჰყვა დანიურ და შემდეგ ზოგიერთ სხვა დასავლეთევროპულ გაზეთებში წინასწარმეტყველ მუჰამადის საკმაოდ უნიჭო კარიკატურების გამოქვეყნებას, იანვრის ბოლოდან მოყოლებული, მთელ პლანეტას არყევს. ახლო თუ შორეულ აღმოსავლეთში, ევროპაში, აფრიკაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში მძვინვარებს აბობოქრებული მუსლიმი მორწმუნეების ხალხმრავალი დემონსტრაციები, უკვე არის მსხვერპლი. დანიელ კარიკატურისტების თავებისათვის ავღანელმა ტალიბებმა 100 კილოგრამი ოქრო დააწესეს. რუსეთი, რომელიც ყოველთვის მუსლიმებისა და არაბების მხარდამჭერად გამოდიოდა, ახლაც მეტად მკვეთრ ფერებში აკრიტიკებს დასავლურ-ლიბერალურ მასმედიას და თან თავს იწონებს „ჩვენ ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მუსლიმური ქვეყანა ვართ“. კრიმინალური დაჯგუფებებიც ცდილობენ თავის ზრახვებისათვის გამოიყენონ მუსლიმ მორწმუნეთა საპროტესტო გამოსვლები და ტრაპიზონში ამ ტალღაზე მოკლეს ერთადერთი ქრისტიანული საკრებულოს მღვდელი, მამა ანდრეა სანტორი, რომელიც თავისი საქმიანობით ამხელდა ტრეფიკინგის ორგანიზატორებს.

აღბათ, მრავალი ჩვენი თანამემამულე ფიქრობდა, რომ მსოფლიოში აგორებული მუსლიმანური პროტესტის ტალღა ქათმის გრიპით გვერდზე ჩაგვივლიდა, მაგრამ ისინი მწარედ შეცდნენ, თბილისში, ბათუმში და, განსაკუთრებით, მარნეულში, რომელიც საქართველოში მცხოვრებ შიიტთა ცენტრს წარმოადგენს, მორწმუნეებმა და სასულიერო პირებმა მწვავე პროტესტი გამოთქვეს თავიანთი რწმენის შეურაცხყოფის გამო. ეს არც არის გასაკვირი, საქართველოს მოსახლეობის 10% ისლამის მიმდევარია და საკმაოდ აქტიური მორწმუნეც (გარდა ამისა, დანიელმა კარიკატურისტებმა არა მხოლოდ ისლამი შეურაცხვეს, ერთ-ერთ კარიკატურაში ირიბად მოსე წინასწარმეტყველზეც არის მინიშნება). შესაძლო იყო მოვლენათა ესკალაციას საქართველოში მწვავე შედეგები მოჰყოლოდა, რელიგიურ-ეთნიკური დაპირისპირება აგორებულიყო და ჩვენს ქვეყანაში ისეც მყიფე რელიგიურ-ეთნიკურ წონასწორობა დარღვეულიყო. სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოში კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენელმა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტის პროფესორმა ნუგზარ ბარდაველიძემ წამოაყენა წინადადება: საქართველოში მოქმედ კონფესიათა წარმომადგენლებს გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება ამ შემთხვევით და დაეხმებინათ. ამ წინადადებას ყველამ მხარი დაუჭირა.

10 თებერვალს, რელიგიათა საბჭოს საგანგებო სხდომაზე სახალხო დამცველმა მიმართვის ტექსტი წარმოადგინა; საგანგებო სხდომაზე, ასევე, წაკითხულ იქნა ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის, ეპისკოპოს მეუფე ჯუზეპე პაზოტოს მიმართვა:

„როცა არ არის პატივისცემა, რომელიც ადამიანებსა და ერებს შორის ბადებს მშვიდობას, მაშინ კაცობრიობის ცხოვრება რთულდება. ასევე, რელიგიური გრძნობებიც პატივისცემას მოითხოვს, რადგან, სწორედ ეს არის ადამიანის ყველაზე ღრმა და აუცილებელი ასპექტი. არ შეიძლება მორწმუნის რელიგიური გრძნობების შელახვა. ეს ყველა რელიგიისათვის ჭეშმარიტებაა. მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი ადამიანი, ან ერთი ურნალი არ წარმოადგენს მთელ ქვეყანას. ამ შემთხვევაშიც მიუღებელია ვუპასუხოთ ძალადობით. ეს ყველაფერი ემუქრება მშვიდობას და კაცობრიობას. კათოლიკე ეკლესია სოლიდარობას უცხადებ მათ, ვინც შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და, ამავ დროს, მისთვის მიუღებელია მსგავსი ძალადობა“.

მიმართვის ტექსტმა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა სხვადასხვა კონფესიათა, მათ შორის, შიიტურ მუსლიმთა სასულიერო პირებს შორის.

10 თებერვალს, მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინიციატივით საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა რელიგიების წარმომადგენელთა საბჭოს საგანგებო შეკრება, რომელშიც მეუფე ჯუზეპე პაზოტო მონაწილეობდა.

ორივე შეხვედრის მონაწილეთა გამოსვლებისა და მიმართვებების ლაიტმოტივი ერთია – არ შეიძლება რელიგიურ რწმენის, მორწმუნეთა გრძნობების მიმართ უპატივცემლო დამოკიდებულება, მათი აბუხად აგდება. ასევე, ნებისმიერი აღმსარებლობა მასმედიის მხრიდან პატივისცემასა და გულისყურიან დამოკიდებულებას მოითხოვს.

**მანანა ბაქრაძე
ნინო ტურაბელიძე**

(რუბრიკა) **ახალგაზრდული გვერდი**

და ბატონობდეს თქვენს გულებში ღმრთის მშვიდობა

გამოცდილება გიხვენებთ, რომ თქვენს სულში გულმოწყალების, ღმრთისა და მოყვასის სიყვარულის დამამკვიდრებელი სიმშვიდე ყველაზე პირდაპირი გზაა მარადიული სიცოცხლისკენ.

ხუან დე ბონილა (XVI ს.)

ჩვენ მშფოთვარე დროში ვცხოვრობთ, – თანამედროვე ადამიანთა ყოველდღიურობისათვის დამახასიათებელი ეს შინაგანი განცდა ქრისტიანულ სულიერ ცხოვრებაშიც ხშირად ვლინდება. ხშირად მოუსვენრობას უფლისა და სიწმინდის ძიებაში, მოყვასის მსახურებაშიც კი ვაგვლენთ, ნაცვლად იმისა, რომ რწმენითა და სიმშვიდით აღვივსოთ, როგორც სახარება გვასწავლის მცირეთა მაგალითით.

ამიტომაც, უადრესად მნიშვნელოვანია იმის შეგნება, რომ ღმრთისა და სრულყოფილებისკენ გზა გაცილებით უფრო ქმედითი, სწრაფი და მარტივია, თუ ადამიანი ნებისმიერ ვითარებაში ღრმა სულიერ სიმშვიდეს ინარჩუნებს. ამგვარად ის სულიწმიდისადმი მორჩილი ხდება და უფლის წყალობა მასში იმაზე ბევრად მეტს ქმნის, რასაც იგი საკუთარი ძალებით შეძლებდა.

შინაგანი სიმშვიდე სიწმინდისკენ მიმავალი გზაა!

„უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ“, – თქვა იესომ (იოან. 15:5) და ჩვენთვის უმთავრესია, ვირწმუნოთ ეს ჭეშმარიტება. ხშირად (უფლისგან მოვლენილი) წარუმატებლობის, დამცირებისა და განსაცდელის გადატანაა საჭირო იმისათვის, რომ აღნიშნულმა ჭეშმარიტებამ ჩვენს გონებაში დაისადგუროს, მეტიც, მთელი ჩვენი არსებობის გამოცდილებად იქცეს. ღმერთს რომ შეეძლოს, ყველა ამ განსაცდელს აგვაცდენდა, მაგრამ ამგვარი განსაცდელი იმისათვის გვჭირდება, რომ დაგრწმუნდეთ ჩვენს თანდაყოლილ უძლურებაში და დამოუკიდებლად ვაკეთოთ სიკეთე.

როგორ მივცეთ ღმერთის წყალობას ჩვენს ცხოვრებაში თავისუფლად მოქმედების საშუალება? ანუ გეგმისა და ვარაუდის მიხედვით განსაზღვრულ ქმედებათა შესრულებას კი არ უნდა ვესწრაფოთ, არამედ უნდა ვეცადოთ, აღმოვაჩინოთ ის სულიერი განწყობილება, რომელიც ღმერთს ჩვენში მოქმედების საშუალებას აძლევს. მხოლოდ ასე შევძლებთ, მივიღოთ ისეთი ნაყოფი, რომელიც დარჩება (იოან. 15:16).

ჩვენი ღმერთი მშვიდობის ღმერთია. ის მხოლოდ მშვიდად მოქმედებს, საუბრობს და არა – შფოთვით და მღელვარედ. გავისხენოთ წინასწარმეტყველ ელიას განცდა ხორების მთაზე: **ღმერთი არ იყო არც ქარიშხალში, არც მიწისძვრასა და ცეცხლში, არამედ სიოს ნაზ ქროლვაში** (მეფ. 19).

ხშირად ჩვენი აღზნებისა და ღელვის მიზეზი სწორედ ყველაფრის დამოუკიდებლად გადაწყვეტის მცდელობა ხდება. გაცილებით სასარგებლო იქნება, თუ სიმშვიდეს შევინარჩუნებთ და ღმერთს საშუალებას მივცემთ, რათა იმოქმედოს ჩვენში ჩვენს ძალებზე უსასრულოდ აღმატებული თავისი სიბრძნითა და ძალით.

რასაკვირველია, ზემოთქმული სიზარმაცისა და ინერტულობისაკენ მოწოდებას არ გულისხმობს. ესაა მოწოდება, არ ვიმოქმედოთ მოუსვენრობის ზეგავლენით და ნაჩქარევად. ჩვენი მამოძრავებელი ძალა ღმრთის სულის წყნარი და მშვიდობისმყოფელი გავლენა უნდა გახდეს. წმიდა ვინჩენცო დე პაოლი, ვისაც ნაკლებად შეიძლება დავწამოთ სიზარმაცე, ამბობდა: „ღმერთის სიკეთე თავისით მოქმედებს, ისე რომ ამას თითქმის ვერც კი ვამჩნევთ. უფრო პასიურები

იყავით, ვიდრე აქტიურები; ამგვარად, ღმერთი მოიმოქმედებს თქვენი მეშვეობით იმას, რასაც ერთად აღებული ყველა ადამიანი ვერ შეძლებდა მის გარეშე“.

ჟაკ ფილიპი

ერთ მშვენიერ დღეს ერთი გლეხკაცის სახედარი ჭაში ჩავარდა. მას არაფერი უტკენია, თუმცაღა იქიდან ვეღარ ამოდიოდა. დიდხანს აყრუებდა მისი ყროყინი არემარეს, ამასობაში კი არც პატრონი იჯდა უსაქმოდ, ცდილობდა ვირის გადარჩენას.

ბოლოსდაბოლოს გლეხმა ნახა გამოსავალი, თუმც კი ეს გამოსავალი სასტიკი იყო: მან დაადგინა, რომ სახედარი დაბერებულა და უკვე აღარც სამუშაოდ გამოადგებოდა მას დიდად, ამომშრალი ჭაც მხოლოდ ხიფათს უქმნიდა ყველას და სწორედაც რომ ამოქოლვა იყო საჭირო. ამგვარად, რიდასთვის უნდა ეწვალა პირუტყვის ჭიდან ამოსაყვანად? პირიქით, მეზობლებსაც კი დაუძახა, დამეხმარეთ ვირის ცოცხლად დამარხვაშიო. თითოეული თავისი ნიჩბით შემოეშველა და დაიწყეს ჭაში მიწის ჩაყრა.

ვირი კი მაშინვე მიხვდა, რას უპირებდნენ და სასოწარკვეთილ საბრალლო პირუტყვს გოღება აღმოხდა.

შემდეგ კი, ყველას გასაკვირად, ნიჩბების ცოტა თუ ბევრი ქნევის შემდეგ, ვირი დაწყნარდა.

ბოლოს კი, როცა გლეხმა ჩახედა ჭის ფსკერს, ნანახით ფრიად გაოცდა: მიწის ყოველი ბელტის დაცემისას, სახედარი წყნარად იფერთხავდა მას ზურგიდან და ზედვე დგებოდა.

ასე და ამგვარად, სულ მალე ყველამ იხილა, როგორ ამოაღწია სახედარმა მიწის ზედაპირზე და ფრუტუნ-ფრუტუნით გაიჯირითა.

ცხოვრება ყველას თავზე საყრელად გვიმზადებს მიწას, ყოველგვარ მიწას; და თუ ამ დროს ჭაში იმყოფები, თავის დასაღწევად ეს ხერხი გამოგადგება: გადმოიფერთხე ის, რაც თავზე დაგაყარეს და ზედ შედექი.

გახსოვდეს ხუთი წესი ბედნიერი ცხოვრებისა:

1. გაათავისუფლე გული შენი სიძულვილისგან;
2. გაათავისუფლე გონება შენი შფოთისა და საზრუნავთაგან;
3. გაიმარტივე შენი ცხოვრება;
4. გაისარჯე, რათა გქონდეს, და ნუ შეჰყურებ სხვებს ხელეშში;
5. შეიყვარე თავი შენი და... მიიღე მიწა, რომელსაც შემოგთავაზებენ, რადგან ის შეიძლება შენთვის იქცეს არა პრობლემად, არამედ პრობლემის გადაწყვეტად.

(რუბრიკა) **საყმაწვილო გვერდი**

სარჩევი

რედაქციის გვერდი
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში
კათოლიკე ეკლესია საქართველოში
სინოდი
საქართველოს წმიდანები

საუბარი ეპისკოპოსთან
სოციალური პრობლემები
ეკუმენური გვერდი
ინტერვიუ
ინფორმაცია
ახალგაზრდული გვერდი
საყმაწვილო გვერდი

საგანგებო ჩანართი:
მამა ანდრეა სანტორის ხსოვნას

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვაგა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ლაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
გაზეთი „საბა“ დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2006

მართა ბალახაშვილი
* 1912 წ. უდგ
+ 2006 წ. უდგ

მამა ანდრეა სანტორის ხსოვნას

საგანგებო ჩანართი

ამა წლის 5 თებერვალს, კვირას, ქალაქ ტრაპიზონის კათოლიკურ ეკლესიაში მოკლეს რომის ეპარქიის მღვდელი მამა ანდრეა სანტორი. წლების მანძილზე იგი ამ ქალაქში ახორციელებდა თავის სამღვდლო მოწოდებას და მისი მსახურება, მეტწილად, ვრცელდებოდა იმ ქალბატონებზე, რომლებიც იძულებით იყვნენ ჩართულნი პროსტიტუციაში.

ასლა ამბობენ, რომ შეიარაღებულ ახალგაზრდა მკვლელს რელიგიური ფუნდამენტალიზმი ამოძრავებდა, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, ეს მკვლელობა მოწყობილი იყო პროსტიტუციის მაფიოზური ჯგუფის მიერ იმ მიზნით, რათა სასწრაფოდ გზიდან ჩამოეცილებინათ აბეზარა მოწინააღმდეგე-მამა ანდრეას ცხოვრება და სიკვდილი გვავალდებულებს, რომ დავფიქრდეთ ჩვენი დროის ყველაზე დიდ ცოდვაზე, მონობის ახალ ფორმებზე.

დღეს ბევრს ჰგონია, რომ მონობა წარსულს ჩაჰბარდა და მონა აღარ არსებობს, სინამდვილეში კი სურათი სულ სხვაგვარია. თანამედროვე სამყაროში ფეხმოკიდებულია მონობის ახალ-ახალი ფორმები, რაშიც მილიონობით ადამიანი იმყოფება. თუკი მონობა XIX და XX საუკუნეებში გაუქმდა, ეს არ ნიშნავს მონობა აღარ არსებობს. დღეს დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი იმყოფება მონობაში. დღესდღეობით გავრცელებული მონობის ორი ფორმიდან უნდა გამოიყოს ორი: სექსი და ეკონომია.

მონობის არსი მდგომარეობს უპირობო უფლებების უგულვებელყოფაში, რის გამოც ადამიანი, როგორც ასეთი აღიარებული არ არის, მას არ გააჩნია საკუთარი რაობა, არ შეუძლია საკუთარი თავის წარმოჩენა, უფლებობა, – მონა არის საგანი და იგიველება ცხოველთან, როგორც ამას ხედავდა არისტოტელე-ანტიკური ხანიდან მოყოლებული მიმდინარეობდა ბრძოლები მონობისათვის, ადამიანების მონებად შესყიდვისათვის. ზოგჯერ ვალებში ჩაფლული ადამიანი იძულებული იყო მონად გაყიდულიყო. ვერც ქრისტიანობის მოსვლამ აღმოფხვრა მთლიანად მონობა, რაკიდა სოციალური და ეკონომიური ცხოვრება მასზე იყო აგებული (გავიხსენოთ თუნდაც სპარტაკის აჯანყება). თუმცა, მონობის წინააღმდეგ ქრისტიანობა მორალური და რელიგიური კუთხით იბრძოდა და დიდი შედეგებიც იქნა მიღწეული სოციალურ სფეროში. ქრისტიანობა აცხადებდა, რომ მეტად აღარ არიან თავისუფლები და მონები (გალ. 3:28), რომ ღმრთის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან, რომ თავად ქრისტე იქცა მონად (ფილ. 2:7), და რომ იგი ამ წუთისოფლად მოვიდა სხვათა მსახურად (მათ. 20, 28). მონათმფლობელებს იგი მოუწოდებდა სწორად და სამართლიანად მოპყრობოდნენ თავიანთ მსახურთ, რადგან მათ თავიანთი პატრონი ჰყავდათ ზეცად (კოლ. 4:1). ქრისტიანობა არყევდა მონობის იდეოლოგიურ და მორალურ საძირკველს, პატრონს თავისი მონის მოყვასად თვლიდა (ფილიმ. 16); პირველი ქრისტიანი მწერლებიც აგრძელებდნენ ახალი აღთმის მცნებებს, – ქრისტიანთა დევნის ერთ-ერთი მიზეზიც ეს იყო. პირველქრისტიანულ საკრებულოებში მონებს იგივე უფლებები ჰქონდათ, რაც თავისუფალ მორწმუნეებს.

გრძელთა წამებულ მონათა რიცხვი, როგორებიც იყვნენ ფელიციტა, ბლანდინა, აგრიკოლა, ვიტალი, თვით რომის პაპიც, წმ. კალისტე (217-222), გაქცეული მონის დაღს ატარებდა. როდესაც ქრისტიანობა სახელმწიფოთა რელიგიად გამოცხადდა, ქრისტიანი იმპერატორები კრძალავდნენ მონების შუბლზე ნიშნის დასმას, გააუქმეს ასევე ჯვარზე გაკვრა; სჯიდნენ იმ მეპატრონეებს, რომელთა მიზეზითაც მონა მოკვდებოდა, მათ შემოიღეს მონების გათავისუფლება, ნელ-ნელა მონობას თავისი ანტიკური ნიადაგი ეცლებოდა. მონები იქცნენ „მსახურებად“ და სხვადასხვა კატეგორიებად იყოფოდნენ, ვიდრე არ ჩამოყალიბდა შუასაუკუნოვანი, მოგვიანებით კი, თანამედროვე ქალაქის სტრუქტურა. თუკი ქრისტიანულ სამყაროში მონობამ სახე იცვალა, ისლამურ სამყაროში მონობის ფორმებმა მეტი გამძლეობა შეინარჩუნეს. ამიტომაც, აღმოცენდა რელიგიური ორდენები, იმ მიზნით, რომ გამოესყიდათ მუსლიმთა ხელში მონებად ჩავარდნილი ქრისტიანები. მონობის ყველაზე საშინელი ფორმა აღორძინდა XV საუკუნეში, როდესაც პორტუგალიამ აღმოაჩინა აფრიკის დასავლეთ სანაპიროები და როდესაც აღმოაჩინეს ამერიკა (1492 წ.). ევროპელები ფიქრობდნენ, როგორმე შეეცვალათ აფრიკელი ზანგები და ამ დღიდან ისინი ზანგებს უმოწყალოდ ეპყრობოდნენ (ამასთან დაკავშირებით, გავიხსენოთ ჰარიეტ ბიჩერსტოუს ცნობილი მოთხრობა „ბიძია თომას ქოხი“). ყველაზე საშინელი კი იყო ის, რომ აფრიკელების დამონება ქრისტიანთა ხელით ხდებოდა, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური ინტერესები ამოძრავებდათ. ამ შემთხვევაშიც განსხვავებულნი იყვნენ ევროპელი მისიონერები, როგორც აფრიკაში, ასევე ამერიკაში, ისინი ამ პრაქტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და

მონებისთვის ტანჯვის შემსუბუქებას ითხოვდნენ. გავისხენოთ, მაგალითად, წმ. პეტრე კლავერი (1580წ-1654), 40 წლის მანძილზე იგი დახმარების ხელს უწვდიდა კართაგენელ მონებს კოლუმბიაში და ყოველთვის ამბობდა, რომ იყო „მონა მონებისა“.

როგორ რეაგირებდნენ პაპები მონობაზე? უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1462 წელს, პიუს II-მ, მოახდინა მონობის დეფინიცია და უწოდა მას *Magnum scelus* ანუ დიდი დანაშაული. მისივე ბრძანებით, ეპისკოპოსებს უნდა შეეჩვენებინათ მონობის მიმდევარი. იგივე მოიმოქმედა პავლე III-მ (1537), ურბან VIII-მ (1639), ხოლო პიუს VII-ის დამსახურებაა, რომ ვენის კონგრესზე (1815) საბოლოოდ წერილობით გაუქმდა მონობა. 1839 წელს გრიგოლ XVI-მ შენიშნა, რომ აფრიკელთა დამონების ფაქტები შემცირდა, მაგრამ არა სრულიად. იგი შემდეგს წერდა: „ჩვენივე სამოციქულო ძალაუფლებით, ვაუწყებთ ყველა ქრისტიან მორწმუნეს, რათა შემდგომში არავინ გაბედოს ზანგების დამონება, მათი არაადამიანებად მიჩნევა სამართლიანობისა და ადამიანის უფლებათა საწინააღმდეგოდ“. 1948 წელს ხელმოწერილი ადამიანის საყოველთაო დეკლარაციის მიერ მონობის გაუქმებას სულაც არ შეუშლია ხელი მონობის თანამედროვე ფორმების წარმოქმნაში, და ესაა ანტიკური ხანის მონობაზე არანაკლებ უმკაცრესი, როგორცაა ეკონომიური და სექსუალური მონობა. უნდა ითქვას ისიც, რომ პირისაგან მიწისა როდი აღიგავა მონობის ანტიკური ფორმები. მაგრიტანიაში, მაგალითად, დაახლოებით 90 000 ადამიანი ბერბერების ტომის საკუთრებად ითვლება, აღსანიშნავია, რომ მილიონობით ემიგრანტზე მეტი სპარსეთის ყურეში ნამდვილ მონობაში ცხოვრობს. მსგავსი ფაქტები არც ევროპას აკლია ემიგრანტი შინამოსამსახურეების სახით.

ეკონომიური მონობა, პირველ რიგში, ბავშვებს შეეხებათ. უენევის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამედროვე მონაცემებით, 250 000-მდე ბავშვი 3-5 წლის ასაკში მთელი დატვირთვით მუშაობს დღის განმავლობაში, მათი მესამედი კი უკიდურესად მიზერულ თანხას იღებს, უფლებააყრილნი, სამუშაოს განრიგის გარეშე შრომობენ. ამგვარ პირობებში იმყოფებიან ინდოელი, პაკისტანელი, ტაილანდიელი, ფილიპინელი, ბრაზილიელი ბავშვები. ისინი მუშაობენ შახტებში, მინების, ხის, ხალიჩების ფაბრიკა-ქარხნებში; ამ პატარა მუშების უმრავლესობას მშობლებს ჰპარავენ და თავიანთ ახალ მეპატრონეებზე ჰყიდიან, ასე ხდება მაგ; პატიკისტანში, ირანში. ვალებში ჩავარდნილი მამა იძულებულია, ფულის სანაცვლოდ საკუთარი შვილი მიჰყიდოს შახტის თუ ღუმელის მფლობელს. ბავშვების ნაწილი იძულებული არიან ეროვნულ არმიაში, ან ადგილობრივ ბანდებში გაერთიანდნენ. ასე ხდება, მაგალითად, ავღანეთში, სიერა ლეონეში, შრი ლანკაში, სუდანში და უგანდაში. დღეს მსოფლიოში დაახლოებით 300 000 ათასი ბავშვი-მეომარია. მდიდარი ქვეყნების ეკონომიური კეთილდღეობა ამ პატარა ბავშვების უსამართლო და ძალისმიერი შრომის ნაყოფია, რასაც უმართავ საბაზრო ეკონომიაში ბევრი ქვეყანა ახორციელებს, რაც შეიძლება იაფი მუშახელის მოზიდვის მიზნით.

თანამედროვე მონობის მეორე ფორმაა „სექსუალური მონობა“, რომლის უკან უზარმაზარი დანაშაულებივი სამყარო დგას, რომელიც მას მართავს. დღეს დიდი მოთხოვნაა ე.წ. *სექსუალურ მონებზე*: მსოფლიო ბაზარზე მონობაში მყოფი ქალბატონები და ყმაწვილქალების რაოდენობა, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილონ გადამხდელი კლიენტურის ყველანაირი მოთხოვნები და პერვერსიები, საგანგაშო რადენობას აღწევს.

ქალბატონები, და არა იმდენად მოწიფულები, რამდენადაც მოზარდი გოგონები, რომელთა სიქალწულე და თავისუფლება კომერციისა და შეფასების საგნად ქცეულა ექსპლუატატორთა მიერ, რომელთაც მოგების მიზნით, კარგად იციან ადამიანურ საქონელსა და სხვა საქონელს შორის სხვაობა. მართლაც, თუკი იარაღი და ნარკოტიკი ერთჯერადად გაიყიდება, მონად ქცეული გოგონა

იძულებულია პროსტიტუციის დამამცირებელ გარემოში მრავალჯერადად გასწიოს სექსუალური სამსახური, სანამ დაბალ ფასს გადაუხდინდენ, სანამ უსარგებლო ასაკს მიაღწევდეს, ან შიდასა თუ ვენერიული დაავადების მსხვერპლი გახდებოდეს. გოგონა იქნება ის თუ ბიჭუნა, პედოფილი ტურისტების სამსახურში ჩამდგარი, ყოველთვის ოქროს საბადოდ იქნება თავის მეპატრონის ხელში. დღეს ხშირად შეგიძლიათ იხილოთ ღარიბ ქვეყნებში ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, რომლებიც მთელი დღე და ღამე, შეუსვენებლად მუშაობენ ბორდელებში და დღეში ორმოცამდე კლიენტს ისტუმრებენ. განვითარებულ ქვეყნებში კი მონობა დაგმობილია და ქაღალტონები, ყმაწვილები თუ მოწიფულები მოკლებულია არიან იურიდიულ დაცვას, ისინი ღამის კლუბებსა თუ გზის გასწვრივ ეწევიან პროსტიტუციას. მონობის ეს ფორმა, უმეტესად, კრიმინალური ჯგუფების მიერ არის ორგანიზებული, რომელთა შორის გამოირჩევა იაპონური მაფია, ჩინური ტრიადა და რუსული მაფია. ამბობენ, რომ ქართული მაფიაც საკმაოდ ძლიერია თურქეთში!

ის, რაც პროსტიტუციის ბაზარზე თვალშისაცემია, მისი ყოვლისმომცველობა და უძლეველობაა, რომელიც მთელ პლანეტაზე მოდებულება, უზარმაზარი ინვესტიციებით და ავანგარდული ტექნოლოგიის გამოყენებით (*ინტერნეტქსელები, სატელიტები*). ეს ახალი გზა კი ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარი ქვეყნებისაკენ მიდის და პირიქით. ევროპისა და ამერიკის მდიდარი ქვეყნები, იაპონია, ავსტრალია, ათასობით მეძავი ქალებით მარაგდებიან, რომლებსაც ტრადიციულად სამხრეთ აზია ამარაგებს, ანუ ფილიპინები, ვიეტნამი, ჩინეთი, ტაილანდი. ამბობენ, რომ ასიათასამდე ქალი არაკანონიერი გზით იქნა ჩაყვანილი აშშ-ში და მათი 70% სექსის ინდუსტრიაში დატყვევებული და უშუალოდაა გაკონტროლებული აზიური ჯგუფების მიერ. ევროპაში ანგარიშობენ, რომ ხუთასი ათასამდე ქალი წამოსულია ცენტრალური ამერიკიდან, აფრიკიდან, სამხრეთ აზიიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან. ამ მიზნით მესამე სამყაროდან განვითარებულ ქვეყნებში ყმაწვილქალების შეყვანა პასუხობს მდიდარი ქვეყნების მხრიდან ტურიზმის განვითარებას ღარიბ ქვეყნებში. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე სექსუალური ტურიზმი 80 პროცენტით გაიზარდა. განსაკუთრებით ტაილანდიაში, კენიაში, ფილიპინებში. ვარაუდობენ, რომ მხოლოდ ტაილანდიის სახელმწიფო მოგების 10 დან 20% პროსტიტუციაზე მოდის. დღეს მთელს მსოფლიოს მოედო საპლანეტო პროსტიტუცია, რომელიც თავის ქსელში მილიონობით ქალებს და ბავშვებს ითრევს და ადამიანის ხორციით ვაჭრობის მოთავეებისთვის ისეთი მოგება მოაქვთ, რომლის წლიური ბრუნვა 10 მილიარდი დოლარია. რასაკვირველია, საუბარია ყველაზე საშინელ ფორმაზე. ცხადია, პროსტიტუცია ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ბოლო წლების პროპორციებმა იმ დონეს მიაღწიეს, რომ მას ვეღარ შევადრით წინა საუკუნეებთან. ქალებისა და ბავშვების ექსპლუატაცია უმკაცრესი, დამამცირებელი და არაადამიანური ფორმებით ხდება. ისინი მთლიანად იმ პირთა საქონლებად იქცევიან, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რაც კი მოესურვებათ, არანაირი თავშეკავებით, ჯოჯოხეთურ გარემოში ყოფნით, რისგანაც მათ მხოლოდ სიკვდილი ან პოლიციაში გამოცხადება თუ გადაარჩენთ.

როგორ შევახორციოთ თანამედროვე საზოგადოების ამ მწვავე სიმსივნური ჭრილობით გამოწვეული კაცობრიობის ტანჯვა? პაპი იოანე პავლე II თავისი პონტიფიკატის დროს, ყველგან, სადაც კი არ უნდა ყოფილიყო, მთელი ძალისხმევით გმობდა ქალებისა და ბავშვების ექსპლუატაციას, ხოლო ეკლესიებს მოუწოდებდა, ქვეყნის ხელისუფალთაგან მოეთხოვათ მყარი გადაწყვეტილებები, რათა ძირში მოეკვეთათ ამგვარი სახის კომერცია. მართალია დღეს ბევრმა სახელმწიფომ ივალდებულა ნარკომანიისა და შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ისინი არ ებრძვიან პროსტიტუციის

საერთაშორისო network-ს, თუნდაც იმიტომ, რომ მოთხოვნილება სექსუალურ ბაზარზე იმდენად ძლიერი და ფართოა, რომ ყოველგვარ წამოწყებულ ბრძოლას პროსტიტუციის წინააღმდეგ და სექსუალური ტურიზმის შეფერხებას ვერაფერი უმკლავდება. ამ საშინელ ფაქტებს ბოლო წლებში საჯაროდ ამხელდნენ საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციები. თუმცა, ყოველად აუცილებელია მენტალიტეტის რადიკალური შეცვლა, უნდა გამოვიდეთ ანთროპოლოგიიდან, ადამიანური ურთიერთობის კონცეფციიდან, ვეძებთ ეთიკა ეკონომიაში, ფულში, პროგრესში, მასმედიის მოხმარებაში. ქრისტიანებმა ყოველთვის უნდა შეახსენონ საკუთარ თავს და სხვებსაც იესოს სიტყვები, რომელიც ამბობს: „ხოლო ვინც ერთ ამ მცირეთაგანს, რომელსაც ჩემი სწამს, აცდუნებს, მისთვის აჯობებდა წისკვილის ქვა დაეკიდა კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ“ (მათ. 18:6-7).

მამა ანდრეა სანტორი ქალაქ ტრაპიზონში ებრძოდა ამ მტკივნეულ ფენომენს და ამ გზაზე სიკვდილს შეეჩეხა. იგი მრავალჯერ ჩამოვიდა ტრაპიზონიდან საქართველოში, რათა თანამშრომლობა გაეხსნა ადგილობრივ კათოლიკე ეკლესიასთან და ასევე მართლმადიდებელ ეკლესიასთან. დიდი წვალებით მიაღწია ბათუმის ეპარქიის ეპისკოპოსთან შეხვედრას, რათა მისთვის თანამშრომლობა შეეთავაზებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

რატომ არ შეიძლება ეკლესიებმა ითანამშრომლონ და ერთად დაიცვან დამცირებული და უფლებააყრილი ადამიანები?

ბენედექტე XVI-ს ხელთ მოხვდა წერილი, რომელსაც სამი ქართველი ქალი აწერს ხელს, წერილი დათარიღებულია 2006 წლის 31 იანვრით. აი, რას წერდნენ ისინი: „ძვირფასო პაპო, ყველა ქართველის სახელით მოგესალმებით და მაღალ ღმერთს ვთხოვთ იესოს სახელით მოგანიჭოთ ჯანმრთელობა. კმაყოფილნი ვართ, რომ ღმერთმა პაპად ავირჩიათ. ილოცეთ ჩვენთვის, ღარიბებისა და მსოფლიოს ყველა გაჭირვებულებისთვის, ბავშვებისათვის. ჩვენ გვწამს, რომ თქვენი ღოცვა პირდაპირ აღწევს ღმერთამდე. ძალიან გვიჭირს ქართველებს, ვალებში ჩავარდნილები უჭეროდ და უსახლკაროდ შთენილნი ვართ, ძალაგამოღებული. ამჟამად ჩვენ ტრაპიზონში ვიმყოფებით და ვმუშაობთ. ილოცეთ, რომ ღმერთმა გვაკურთხოს, რათა ჩვენში ახალი და წმიდა გული შექმნას. ჩვენ არ ვივიწყებთ ქრისტიანულ ცხოვრებას“. პაპმა ეს წერილი, 8 თებერვალს ვატიკანში გენერალურ აუდიენციაზე წაიკითხა, ხალხის მღელვარე აპლოდისმენტებით.

მარტის თვეში ქალთა დღე აღინიშნება; ვნახოთ, რა პირობებს შემოგვთავაზებს 8 მარტი იმისათვის, რომ გავიხსენოთ პროსტიტუციის მონად ქცეული მილიონობით ქალბატონი და ყველა, ვინც მათ გადასარჩენად იბრძვის!

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ტრაპიზონის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი ბათუმში

გთავაზობთ ასია სარქისიანის ინტერვიუს პადრე ანდრეასთან.

დეკემბრის თვეში ბათუმში იმყოფებოდა ტრაპიზონის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი, პადრე ანდრეა სანტორი. მან მოინახულა წმ. ნინოსა და წმ. ფრანცისკოს საქველმოქმედო ფონდი. პადრე ანდრეა იტალიელია; უკვე ხუთი წელია, ტრაპიზონში მოღვაწეობს. ადრე იგი რომში, კათოლიკურ ეკლესიაში მსახურობდა.

პადრე ანდრეა: ტრაპიზონში ეს ტაძარი კაპუცინების ორდენმა 150 წლის წინ ააგო, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორმა ისინი საქართველოდან

განდევნა. „სანტა მარია“ ერთადერთი ქრისტიანული ტაძარია ტრაპიზონში. იგი ყველასთვის ღიაა. საკვირაო წირვაზე მრევლს ვთავაზობთ, იგალობონ ქართულ, სომხურ, რუსულ ენებზე. წირვის შემდეგ ფინჯან ჩაიზე ვიკრიბებით და ვსაუბრობთ, უკეთ ვეცნობით ერთმანეთს.

რამდენადაც ვიცი, ჩვენს ქალაქში პირველად არა ხართ...

პადრე ანდრეა: ბათუმში ადრეც ვყოფილვარ. ღამაში ქალაქია, მომწონს, მაგრამ ბევრ ღატაკ ადამიანს ვხედავ აქ. თურქეთში ასე არ არის. ტრაპიზონში უმრავლესობა საშუალო ფენას შეადგენს, რომლებიც სიღარიბეში არ ცხოვრობენ. სავალალოა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან (განსაკუთრებით რუსეთი და უკრაინა) ქალები ფულის საშოვნელად ჩამოდიან აქ. ზოგი მაღაზიებსა და ოჯახებში პოულობს სამუშაოს, ზოგიც კი პროსტიტუციით ირჩენს თავს. ამ გზით უნდა არჩინონ საკუთარი შვილები და ახლობლები. ჩვენ ვხვდებით ასეთ ქალებს, გვესმის, რომ გაჭირვებამ აიძულა ისინი ასე მოქცეულიყვნენდა ვცდილობთ, როგორმე შევეუმსუბუქოთ მათ გაჭირვება. ზოგს სამშობლოში დაბრუნებაშიც ვეხმარებით.

ეკლესიაში რუსიც მოდის და ქართველიც. ენის ბარიერის გამო ურთიერთობა გვიჭირს. სიამოვნებით ვითანამშრომლებ ქართული, რუსული და თურქული ენის მცოდნესთან. მრევლის წევრებს ვურიგებთ სხვადასხვა ენაზე გამოცემულ ბიბლიას, ლოცვანებს, ასევე, ხატებს. ჩვენთან მუსლიმანებიც მოდიან, ეკლესიას ათვალთქმობენ. ხშირად გვსტუმრობენ საქართველოს კონსული ტრაპიზონში და მისი მოადგილე.

საქველმოქმედო ორგანიზაცია „კარიტასი“ თუ არის თურქეთში?

პადრე ანდრეა: დიას, იგი შექმნილია და სახელმწიფოსთან თანამშრომლობს. დღეისათვის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა ტრეფიკინგი. უკვე დაიწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ.

თურქეთში სხვა კათოლიკური ეკლესია თუ არის?

პადრე ანდრეა: ბათუმიდან სტამბულამდე ორი ტაძარია: ტრაპიზონსა და სამსუნში. მთავარია, რომ ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის კარგი ურთიერთობაა.

რა მიზნით ჩამობრძანდით ბათუმში?

პადრე ანდრეა: გვაქვს სურვილი, ურთიერთობა დავამყაროთ მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რათა ერთად დავეხმაროთ თურქეთში სამუშაოდ ჩასულ ქართველ ქალებს.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ყველა კათოლიკეს მივულოცო შობის ნათელი დღესასწაული. რწმენა იმედი და სიყვარული დაგბედებოდეთ!

სასიხარულოა, რომ ეს შეხვედრა შედგა. პადრე ანდრეა მიიღო ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ.

გაზეთი „აჭარა“ №241, 29 დეკემბერი, 2005.